შპს ,,სელფი მობაილ“

შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება

30 ივნისი 2026

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კორპორაციული ინფორმაცია 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 მომზადების საფუძველი 7
4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები 7
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 8
6 ძირითადი საშუალებები 9
7 არამატერიალური აქტივები 10
8 აქტივის გამოყენების უფლება 11
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 11
10 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები 12
11 სადეპოზიტო სერტიფიკატები 12
12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 12
13 კაპიტალი 13
14 ნასესხები სახსრები 13
15 საიჯარო ვალდებულებები 15
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 15
17 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით 16
18 მომსახურების ხარჯები 16
19 სხვა საოპერაციო ხარჯები 16
20 ფინანსური ხარჯები 17
21 ფინანსური შემოსავალი 17
22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 17
23 ფინანსური რისკის მართვა 18
24 კაპიტალის მართვა 21
25 სამართლიანი ღირებულების შეფასება 22
26 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა 23

შპს სელფი მობაილ
შეშოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2026 წლის 30 ივნისით დასრულებული 6 თვიანი პერიოდისთვის
(ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	158,085	152,445
აქტივის გამოყენების უფლება	8	33,289	25,040
არამატერიალური აქტივები	7	45,912	43,057
სხვა არაფინანსური აქტივები	10	2,559	3,076
სულ გრძელვადიანი აქტივები		**239,845**	**223,618**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		798	788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	10,069	10,462
სხვა არაფინანსური აქტივები	10	6,245	6,100
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	39,147	41 109
სულ მოკლევადიანი აქტივები		**56,259**	**58,459**
სულ აქტივები		**296,104**	**282,077**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	13	986,129	986,129
დაგროვილი ზარალი		(859,730)	(878,886)
სულ კაპიტალი		**126,399**	**107,243**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	9,589	11,674
საიჯარო ვალდებულებები	15	22,757	15,359
ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის		2,736	2,736
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**35,082**	**29,769**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	68,971	68,646
საიჯარო ვალდებულებები	15	12,309	11,505
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	41,694	51,859
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	10	11,649	13,055
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**134,623**	**145,065**
სულ ვალდებულებები		**169,705**	**174,834**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**296,104**	**282,077**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2026 წლის 24 აგვისტო:

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ქედია
ფინანსური დირექტორი

შეშოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-24 გვერდებზე, წარმოადგენს შეშოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სელფი მობაილ
შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2026 წლის 30 ივნისით დასრულებული 6 თვიანი პერიოდისთვის
(ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	158,085	152,445
აქტივის გამოყენების უფლება	8	33,289	25,040
არამატერიალური აქტივები	7	45,912	43,057
სხვა არაფინანსური აქტივები	10	2,559	3,076
სულ გრძელვადიანი აქტივები		**239,845**	**223,618**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		798	788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	10,069	10,462
სხვა არაფინანსური აქტივები	10	6,245	6,100
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	39,147	41,109
სულ მოკლევადიანი აქტივები		**56,259**	**58,459**
სულ აქტივები		**296,104**	**282,077**
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	13	986,129	986,129
დაგროვილი ზარალი		(859,730)	(878,886)
სულ კაპიტალი		**126,399**	**107,243**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	9,589	11,674
საიჯარო ვალდებულებები	15	22,757	15,359
ანარიცხები აქტივების ხმარებიდან ამოღების მოვალეობისთვის		2,736	2,736
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**35,082**	**29,769**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	68,971	68,646
საიჯარო ვალდებულებები	15	12,309	11,505
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	41,694	51,859
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	10	11,649	13,055
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**134,623**	**145,065**
სულ ვალდებულებები		**169,705**	**174,834**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**296,104**	**282,077**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2026 წლის 24 აგვისტო:

როსტომ ტალახაძე	ირაკლი ჭედია
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

	შენიშვნა	2026 HY1	2025 HY1
ამონაგები მომსახურებიდან	17	96,644	87,305
ძირითადი საშუალებების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	6,8	(23,810)	(18,371)
თანამშრომელთა სარგებელის ხარჯი		(14,701)	(12,354)
მომსახურების ხარჯები	18	(8,489)	(8,486)
მოვლა-შენახვის ხარჯები		(5,321)	(5,087)
კომუნალური ხარჯები		(5,976)	(4,985)
მარკეტინგის ხარჯები		(2,695)	(3,787)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	7	(3,146)	(2,397)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღდგენა	6	746	998
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(9,265)	(7,730)
საოპერაციო მოგება		**23,987**	**25,106**
ფინანსური ხარჯები	20	(6,798)	(6,554)
ფინანსური შემოსავალი	21	2,026	2,207
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო		706	721
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი		(765)	1
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**19,156**	**21,481**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ნახევარი წლის წმინდა შემოსავალი		**19,156**	**21,481**
ნახევარი წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ ნახევარი წლის სრული შემოსავალი		**19,156**	**21,481**

	შენიშვნა	განთავსებული კაპიტალი	დამატებითი სრულად ანაზღაურებული კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2024 წლის 31 დეკემბერი	13	**986,129**	**-**	**-**	**(919,372)**	**66,757**
ნახევარი წლის წმინდა შემოსავალი		-	-	-	21,481	**21,481**
სულ ნახევარი წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**21,481**	**21,481**
2025 წლის 30 ივნისი	13	**986,129**	**-**	**-**	**(897,891)**	**88,238**
2025 წლის 31 დეკემბერი	13	**986,129**	**-**	**-**	**(878,886)**	**107,243**
ნახევარი წლის წმინდა შემოსავალი		-	-	-	19,156	**19,156**
სულ ნახევარი წლის სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**	**19,156**	**19,156**
2026 წლის 30 ივნისი	13	**986,129**	**-**	**-**	**(859,730)**	**126,399**

	შენიშვნა	2026 HY1	2025 HY1
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		19,156	21,481
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	6,8	23,810	18,371
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	7	3,146	2,397
გაუფასურების (აღდგენა)/დარიცხვა ძირითად საშუალებებზე	6	(746)	(998)
ზარალი/(შემოსულობა) ძირითადი საშუალებების გასვლიდან	6	686	1
გაუფასურების დარიცხვა /(აღდგენა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	9	391	(337)
ფინანსური შემოსავალი	21	(2,026)	(2,207)
ფინანსური ხარჯები	20	6,798	6,554
სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები/(შემოსავალი)		(6)	(56)
სავალუტო (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო		(706)	(721)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე:		**50 503**	**44 485**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(128)	(1,810)
სხვა არაფინანსური აქტივები შემცირება/(ზრდა)		371	2,556
მარაგების ზრდა		(39)	(475)
შეზღუდული ფულადი სახსრები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,349	1,474
სხვა არაფინანსური ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,406)	(1,636)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**147**	**109**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		2,026	2,143
გადახდილი პროცენტი		(6,696)	(6,463)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**45,980**	**40,274**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(39,459)	(25,719)
სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენა		-	(20,000)
სადეპოზიტო სერტიფიკატების ვადის ამოწურვის შედეგად მიღებული თანხები		-	20,000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(39,459)**	**(25,719)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	14	-	1,155
ნასესხები სახსრების დაფარვა	14	(1,816)	(1,507)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა		(6,618)	(6 108)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(8,434)**	**(6,460)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(1,913)**	**8,095**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(49)	(123)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**12**	**41,109**	**14,883**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**12**	**39,147**	**22,855**

1 კორპორაციული ინფორმაცია

შპს „სელფი მობაილ“ (შემდგომში - „სელფი მობაილ“, „კომპანია“), დაფუძნდა 2003 წლის 19 ნოემბერს და საქმიანობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულია კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584.

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიებია შპს Watertrail Industries (BVI) 71% მფლობელობით და შპს Investico Alliance 29% მფლობელობით. შპს Miren Invest წარმოადგენს საბოლოო მშობელ კომპანიას და მას საბოლოოდ აკონტროლებს ბ-ნი ხვიჩა მაქაცარია.

2025 წლის საანგარიშგებო პერიოდში, Scope Ratings GmbH-მა ხელახლა დაადასტურა კომპანიის „BB-“ საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით, რომელიც უცვლელი დარჩა 2024 წლიდან. ფინანსური მდგრადობის კომპონენტი ერთი საფეხურით გაუმჯობესდა.

კომპანიის არც უშუალო მშობელი კომპანია და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის და შეესაბამება ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტებს.

2023 წელს, კომპანიამ, მის საბოლოო მაკონტროლებელ ბენეფიციარ მფლობელთან, ხვიჩა მაქაცარიასთან ერთად, დააფუძნა შვილობილი კომპანია, შპს Pays, პირდაპირი საკუთრებით 51% და 49% შესაბამისად. 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, შპს Pays უმოქმედო საწარმო იყო.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ბამბის რიგის #8, ხოლო საქმიანობის ძირითადი ადგილია ქალაქი თბილისი, მდ. მკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგის ღობესა და საპროექტო გზას შორის.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე შემოკლებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარში“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს GSM სტანდარტის მობილური სატელეკომუნიკაციო სერვისების მიწოდებით საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილში სავაჭრო ნიშნით „სელფი მობაილ“.

- **ლიცენზიები #F5 და #F59** (რადიო სიხშირული სპექტრები: 1775-1785 მჰც, 1870-1880 მჰც, 884.50-889.99 მჰც და 929.50-934.99 მჰც, ერთად მოხსენიებული როგორც „2G“) კომბინირებული GNCC-ის 2015 წლის 29 იანვარს გაცემული #55/2 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის ვადა გახანგრძლივდა 2030 წლის 1 თებერვლამდე;
- **ლიცენზია #F97** (Long-Term Evolution რადიოსიხშირული სპექტრები: 811-821 მჰც და 852-862 მჰც, ერთად მოხსენიებული როგორც „4G LTE“), მობილური ტელეფონებისა და მონაცემთა ტერმინალებისთვის მაღალსიჩქარიანი მონაცემების უსადენო კომუნიკაციის სტანდარტი, გაცემული 2024 წლის 28 ნოემბრის GNCC-ის #2/542 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2030 წლის 1 თებერვლამდე ვადით;
- **ლიცენზიები # F101 და # F102** (რადიო სიხშირის სპექტრები: 1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც - ერთად მოხსენიებული როგორც „3G“), გაცემული 2016 წლის 29 დეკემბერს GNCC-ის 854/1 და 855/1 გადაწყვეტილებებით, 2031 წლის 30 დეკემბრამდე ვადით;
- **ლიცენზია #F106** (რადიოსიხშირული სპექტრები: 703-708 მჰც (Uplink), 758-763 მჰც (Downlink) და 3550-3600 მჰც ერთობლივად მოხსენიებული, როგორც “5G”) გაცემული 2023 წლის 7 სექტემბერს GNCC-ის #1/432 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2038 წლის 7 სექტემბრამდე ვადით;
- **ლიცენზიები #F107 და #F108** (რადიოსიხშირული სპექტრები: 2575-2595 მჰც და 1770-1775 მჰც ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „5G“ TDD (Time Division Duplex) ტექნოლოგია) გაცემული 2023 წლის 7 სექტემბერს GNCC-ის #1/433 და #1/434 გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2038 წლის 7 სექტემბრამდე ვადით;
- **ლიცენზია #F109** (რადიოსიხშირული სპექტრები: 1770-1775 მჰც (Up-link) და 1865-1870 მჰც (down-link) ერთობლივად მოხსენიებული, როგორც “LTE”) გაცემული 2023 წლის 7 სექტემბერს GNCC-ის #1/435 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2038 წლის 7 სექტემბრამდე ვადით;

1 კორპორაციული ინფორმაცია (გაგრძელება)

- **ლიცენზიები #F118 და #F119** (რადიოსიხშირული სპექტრები: 1970 – 1980 მჰც (Up-link) და 2160 - 2170 მჰც (Down-link) ერთობლივად მოხსენიებული, როგორც "5G" FDD (Time Division Duplex) ტექნოლოგია) გაცემული 2025 წლის 25 დეკემბერს GNCC-ის #1/651 და 1/653 გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2040 წლის 25 დეკემბრამდე ვადით;
  ლიცენზიები #F120 და #F121 (რადიოსიხშირული სპექტრები: 2595 - 2615 მჰც ერთობლივად მოხსენიებული, როგორც "5G" TDD (Time Division Duplex) ტექნოლოგია) გაცემული 2025 წლის 25 დეკემბერს GNCC-ის #1/656 და 1/657 გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2040 წლის 25 დეკემბრამდე ვადით;

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. შესაბამისად, კომპანია ექვემდებარება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებს, რომლებიც ავლენს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორისაა შედარებით მაღალი ინფლაციისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლები. საქართველოს საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობს განვითარებას, თუმცა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, აღრმავებს იმავე სფეროში მოქმედი საწარმოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

მსოფლიოში არსებული კონფლიქტების გავლენა ეკონომიკურ გარემოზე

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტი მნიშვნელოვან გაურკვევლობას იწვევს საქართველოს ეკონომიკაზე მისი გრძელვადიანი გავლენის თვალსაზრისით. კონფლიქტის საქართველოზე ზემოქმედება არაერთგვაროვანია და ვლინდება ისეთი არხებით, როგორიცაა რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილები, მიგრაციული ნაკადები და გადმოსული ფიზიკური თუ იურიდიული პირების ეკონომიკური აქტივობა, სატრანზიტო ვაჭრობა და საქონლის რე-ექსპორტი, ენერგომატარებლების იმპორტი, აგრეთვე ტურიზმისა და უცხოური ინვესტიციების ნაკადები. ამ ფაქტორების ნაწილმა ბოლო წლებში ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, თუმცა ამავდროულად გაზარდა ეკონომიკის დამოკიდებულება საგარეო ფაქტორებზე; კონფლიქტის შემდგომი მიმდინარეობის ან მისი შესაძლო დასრულების გავლენა აღნიშნულ ნაკადებზე წინასწარ ვერ განისაზღვრება.

ირანსა და აშშ-ს შორის მიმდინარე კონფლიქტი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გაურკვევლობას იწვევს მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე. კონფლიქტმა გამოიწვია ნავთობის მიწოდების ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეფერხება, ენერგომატარებლებისა და საკვები პროდუქტების მსოფლიო ფასების ზრდა, გლობალური ინფლაციისა და საბაზრო არასტაბილურობის მატება. საქართველოსთვის ზემოქმედების ძირითადი არხებია იმპორტირებული საწვავისა და ელექტროენერგიის ფასები, სამომხმარებლო ინფლაცია, ლარის გაცვლითი კურსი და ტურიზმის სექტორის შემოსავლები.

ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ორივე ზემოაღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით გამოყენებული დაშვებები, შეფასებები და განსჯა ეფუძნება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არსებულ საუკეთესო ინფორმაციას; თუმცა, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე მოლოდინებისგან.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს მოვლენების ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა გავლენა, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში ირან-აშშ-ს კონფლიქტის ინტენსივობა ცვალებადი დარჩა, რასაც თან ახლდა ნავთობისა და ენერგიის ბაზრების არასტაბილურობა. ხელმძღვანელობა ამ გარემოებას აფასებს როგორც არამაკორექტირებელ მოვლენას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რომელიც არ იწვევს 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხების კორექტირებას.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის *ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება* შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას კომპანიის 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდის www.reportal.ge საშუალებით.

წინამდებარე შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც სავალდებულოა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) სრული ნაკრებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისთვის. აღსანიშნავია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი შერჩეული განმარტებითი შენიშვნები კარგად განმარტავს ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენასა და ტრანზაქციას, რომლებიც მნიშვნელოვანია ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების შემდგომ განხორციელებული ყველა იმ ცვლილების აღსაქმელად, რომელიც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და პერფორმანსს უკავშირდება.

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობას ეწევა. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („₾“) რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას და წინამდებარე შემოკლებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს. ქართულ ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სხვაგვარადაა მითითებული.

ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

	30 ივნისი 2026	**31 დეკემბერი 2025**
ლარი/აშშ დოლარი	2,6453	2,6951
ლარი/ევრო	3,0156	3,1737

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

წინამდებარე შემოკლებული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების წარდგენილ ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას გაკეთებული მნიშვნელოვანი მსჯელობები და უზუსტობების შეფასების ძირითადი წყაროები იყო იგივე, რაც გამოყენებულ იქნა უკანასკნელ წლიურ ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

6 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში მოძრაობები შემდეგია:

	მიწა	შენობები	სატელეკო-მუნიკაციო მოწყობი-ლობები	საოფისე მოწყობი-ლობები	ავეჯი	სატრანს-პორტო საშუალე-ბები	სხვა	CIP*	სულ
ღირებულება									
2024 წლის 31 დეკემბერს	**1,235**	**9,497**	**284,069**	**42,083**	**789**	**554**	**47,062**	**31,140**	**416,429**
დამატება	29	92	993	195	89	-	25	18,457	**19,880**
გასვლები	-	-	(2,268)	(1,243)	-	-	-	-	**(3,511)**
ტრანსფერები	-	-	23,998	78	-	-	-	(24,076)	**-**
ცვლილება ARO ანარიცხებში	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
2025 წლის 30 ივნისს	**1,264**	**9,589**	**306,792**	**41,113**	**878**	**554**	**47,087**	**25,521**	**432,798**
2025 წლის 31 დეკემბერს	**1,290**	**9,630**	**334,116**	**41,175**	**832**	**554**	**47,099**	**32,272**	**466,968**
დამატება	1	171	3,240	503	158	1	44	18,385	**22,503**
გასვლები	-	(367)	(11,083)	(121)	(2)	(2)	(844)	(184)	**(12,603)**
ტრანსფერები	-	-	13,884	197	-	-	(199)	(13,882)	**-**
ცვლილება ARO ანარიცხებში	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
2026 წლის 30 ივნისს	**1,291**	**9,434**	**340,157**	**41,754**	**988**	**553**	**46,100**	**36,591**	**476,868**
ცვეთა და გაუფასურება									
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**5,230**	**196,857**	**37,030**	**571**	**553**	**45,937**	**3,116**	**289,294**
ცვეთის ხარჯი	-	318	10,996	923	34	-	146	-	**12,417**
გასვლები	-	-	(2,268)	(1,243)	-	-	-	-	**(3,511)**
გაუფასურების აღდგენა	-	-	-	-	-	-	-	(998)	**(998)**
2025 წლის 30 ივნისს	**-**	**5,548**	**205,585**	**36,710**	**605**	**553**	**46,083**	**2,118**	**297,202**
2025 წლის 31 დეკემბერს	**-**	**5,879**	**222,065**	**37,073**	**592**	**553**	**46,206**	**2,155**	**314,523**
ცვეთის ხარჯი	-	331	15,489	935	44	-	124	-	**16,923**
გასვლები	-	(148)	(10,805)	(9)	(1)	(2)	(952)	-	**(11,917)**
გაუფასურების აღდგენა	-	-	-	-	-	-	-	(746)	**(746)**
2026 წლის 30 ივნისს	**-**	**6,062**	**226,749**	**37,999**	**635**	**551**	**45,378**	**1,409**	**318,783**
საბალანსო ღირებულება									
2024 წლის 31 დეკემბერს	**1,235**	**4,268**	**87,212**	**5,053**	**218**	**1**	**1,124**	**28,025**	**127,135**
2025 წლის 30 ივნისს	**1,264**	**4,041**	**101,207**	**4,403**	**273**	**1**	**1,004**	**23,403**	**135,596**
2025 წლის 31 დეკემბერს	**1,290**	**3,751**	**112,051**	**4,102**	**240**	**1**	**893**	**30,117**	**152,445**
2026 წლის 30 ივნისს	**1,291**	**3,372**	**113,408**	**3,755**	**353**	**2**	**722**	**35,182**	**158,085**

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი დანადგარები.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს საბაზო სადგურების მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს. დასრულების შემდეგ, აქტივები გადადის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობაში.

7 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია, 2026 და 2025 წლების 30 ივნისისა და 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგს:

	სატელეკომუნი-კაციო ლიცენზიები, სიხშირეები და ნებართვები	**პროგრამული უზრუნველყოფა**	**სხვა არამატერი-ალური აქტივები**	**სულ**
ღირებულება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**123,419**	**29,330**	**307**	**153,056**
დამატება	426	3,156	-	**3,582**
გასვლა / ჩამოწერა	(1,962)	(8,115)	-	**(10,077)**
2025 წლის 30 ივნისს	**121,883**	**24,371**	**307**	**146,561**
2025 წლის 31 დეკემბერს	**145,876**	**28,105**	**227**	**174,208**
დამატება	322	5,677	2	**6,001**
გასვლა / ჩამოწერა	(674)	(1,214)	-	**(1,888)**
2026 წლის 30 ივნისს	**145,524**	**32,568**	**229**	**178,321**
ამორტიზაცია და გაუფასურება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**117,267**	**18,958**	**122**	**136,347**
ამორტიზაციის დარიცხვა	679	1,716	2	**2,397**
გასვლა / ჩამოწერა	(1,962)	(8,115)	-	**(10,077)**
2025 წლის 30 ივნისს	**115,984**	**12,559**	**124**	**128,667**
2025 წლის 31 დეკემბერს	**116,662**	**14,482**	**7**	**131,151**
ამორტიზაციის დარიცხვა	1,482	1,660	4	**3,146**
გასვლა / ჩამოწერა	(674)	(1,214)	-	**(1,888)**
2026 წლის 30 ივნისს	**117,470**	**14,928**	**11**	**132,409**
საბალანსო ღირებულება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**6,152**	**10,372**	**185**	**16,709**
2025 წლის 30 ივნისს	**5,899**	**11,812**	**183**	**17,894**
2025 წლის 31 დეკემბერს	**29,214**	**13,623**	**220**	**43,057**
2026 წლის 30 ივნისს	**28,054**	**17,640**	**218**	**45,912**

8 აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარით იღებს ფართებს საბაზო სადგურებისთვის, მაღაზიებისთვის, ოფისისთვის და საწყობისთვის. ქირავნობის კონტრაქტებს, როგორც წესი, აქვთ ფიქსირებული ხანგრძლივობა 1 წლიდან 10 წლამდე.

	ტერიტორია საბაზო სადგურისთვის	მაღაზიები და ოფისები	ავტომობილები	საწყობი	სულ
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**18,563**	**3,195**	**755**	**-**	**22,513**
დამატება	1,563	2,208	-	-	**3,771**
გადაფასება და მოდიფიკაცია	1,540	(4)	36	-	**1,572**
ცვეთის დარიცხვა	(4,450)	(1,323)	(181)	-	**(5,954)**
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**17,216**	**4,076**	**610**	**-**	**21,902**
საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**19,571**	**4,238**	**1,231**	**-**	**25,040**
დამატება	2,190	8,644	-	-	**10,834**
გადაფასება და მოდიფიკაცია	3,591	634	77	-	**4,302**
ცვეთის დარიცხვა	(5,039)	(1,576)	(272)	-	**(6,887)**
საბალანსო ღირებულება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**20,313**	**11,940**	**1,036**		**33,289**

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
მოთხოვნების ანგარიშები:		
მომხმარებლებისგან	1,883	1,624
ფეი-ბოქს ოპერატორებისგან	1,466	1,885
როუმინგის პარტნიორებისგან	6,146	7,145
ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	1,832	1,215
სხვა	701	655
შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხით	(1,959)	(2,062)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**10,069**	**10,462**

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი ძირითადად არ ერიცხება, ზოგადად აქვს 30 დღიანი ვადა და დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. მხოლოდ ფეი-ბოქსის ოპერატორების მოთხოვნებს გააჩნიათ დაახლოებით 3-5 დღიანი ვადა.

7,010 ათასი ლარის სავაჭრო მოთხოვნები (2025 წელს: 7,376 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, 6,902 ათასი ლარის (2025 წელს: 6,824 ათასი ლარი) აშშ დოლარში, ხოლო 108 ათასი ლარის (2025 წელს: 552 ათასი ლარი) - ევროში.

10 სხვა არაფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სხვა არაფინანსური აქტივები შემდეგისგან შედგება:

	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	2,643	3,004
კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯები	2,585	2,581
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, ნეტო	1,017	515
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები	**6,245**	**6,100**
ავანსად გადახდილი დღგ IRU შეთანხმებებზე	2,213	2,519
ძირითადი საშუალებებისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	346	557
სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	**2,559**	**3,076**

სხვა არაფინანსური ვალდებულებები შემდეგისგან შედგება:

	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	2,282	2,541
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	3,816	5,049
გადავადებული შემოსავალი	5,502	5,423
სხვა	49	42
სხვა მოკლევადიანი არაფინანსური ვალდებულებები	**11,649**	**13,055**

11 სადეპოზიტო სერტიფიკატები

სადეპოზიტო სერთიფიკატები წარმოადგენს პროცენტიან, ფიქსირებული განაკვეთის მქონე მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც გასცემს ადგილობრივი ბანკი BB საკრედიტო რეიტინგით. ამ ინსტრუმენტების დაფარვის ვადა არის გამოშვებიდან ექვსი თვის განმავლობაში და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები. ისინი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან კომპანია მათ ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, რომელიც შედგება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებისგან. 2026 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე კომპანიას სადეპოზიტო სერტიფიკატი არ გააჩნია, ხოლო 2025 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში სადეპოზიტო სერტიფიკატებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 1,138 ათასი ლარი.

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგებოდა შემდეგი მუხლებისგან:

	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	39,042	40,979
კორპორატიული საკრედიტო ბარათები	79	118
ფულადი სახსრები სალაროში	24	12
ფულადი სახსრები გზაში	2	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**39,147**	**41,109**

საანგარიშებო პერიოდისთვის არსებული საბანკო ნაშთები და ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენს BB და B+ რეიტინგის მქონე (2025: BB და B+) სამ წამყვან ადგილობრივ ბანკებში პროცენტის შემცველ მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა პროცენტმა 2026 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში შეადგინა 2,026 ათასი ლარი (2025 წლის პირველი ექვსი თვე: 947 ათასი ლარი).

13 კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი. კომპანიის მთლიანი განთავსებული კაპიტალი 2026 წლის 30 ივნისს მდგომარეობით შეადგენდა 986 129 ათას ლარს (2025 წლის 31 დეკემბერი: 986 129 ათასი ლარი). 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 986 129 ათასი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

14 ნასესხები სახსრები

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშე-კრულება	საკრე-დიტო ლიმიტი	ათვისებუ-ლი თანხა	ნომი-ნალური საპროცენ-ტო განაკვეთი	ვალუ-ტა	დაფარვის ვადა	2026 წლის 30 ივნისი
გრძელვადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	GEL	7-ივნ-29	4,507
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	GEL	7-ივნ-29	4,507
სს თიბისი ბანკი	14195587	370	370	5.50%	EUR	7-ივნ-29	575
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**9,589**
მოკლევადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	GEL	7-ივნ-29	1,905
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	GEL	7-ივნ-29	1,905
სს თიბისი ბანკი	14195587	370	370	5.50%	EUR	7-ივნ-29	267
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	GEL	27-დეკ-26	64,894
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**68 971**
სულ ნასესხები სახსრები							**78,560**

(*) ჰლუს საქათველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი
(**)ჰლუს საქათველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული tibR6M

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები შედგება შემდეგი პოზიციებისგან:

გამსესხებელი	ხელშე-კრულება	საკრე-დიტო ლიმიტი	ათვისებუ-ლი თანხა	ნომი-ნალური საპროცენ-ტო განაკვეთი	ვალუ-ტა	დაფარვის ვადა	2025 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	GEL	7-ივნ-29	5,464
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	GEL	7-ივნ-29	5,464
სს თიბისი ბანკი	14195587	370	370	5.50%	EUR	7-ივნ-29	746
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები							**11,674**
მოკლევადიანი							
სს საქართველოს ბანკი	9772084	16,314	16,314	4.00%*	GEL	7-ივნ-29	1,799
სს თიბისი ბანკი	12904309	15,897	15,897	4.00%*	GEL	7-ივნ-29	1,799
სს თიბისი ბანკი	14195587	370	370	5.50%	EUR	7-ივნ-29	275
ობლიგაციები	GE2700604608	65,000	65,000	3.5%**	GEL	27-დეკ-26	64,773
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები							**68,646**
სულ ნასესხები სახსრები							**80,320**

(*) ჰლუს საქათველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი
(**)ჰლუს საქათველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული tibR6M

14 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები ბანკებიდან. 2023 წლის 7 დეკემბერს ხელმოწერილი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებისა და მათში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, კომპანიას აქვს ორი სინდიცირებული საკრედიტო ხაზი სს თიბისი ბანკთან და სს საქართველოს ბანკთან რომლებიც დენომინირებულია ქართულ ლარში და ევროში, ლიმიტებით 32,211 ათასი ლარი და 370 ათასი ევრო, რომლებიც ერთობლივი სესხების რეფინანსირებისთვის სრულად იქნა ათვისებული. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკისგან ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით და 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანია შესაბამისობაში იყო შეთანხმებულ პირობებთან.

2026 წლის 30 ივნისით დასრულებულ 6 თვიან პერიოდში ნასესხებ სახსრებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 4,796 ათასი ლარი (2025 წლის პირველ ნახევარში: 5,000 ათასი ლარი).

ობლიგაციები. 2023 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა 65,000 ათასი ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაციები ბანკებიდან ახლად აღებული სესხების ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის. ობლიგაციებს გააჩნიათ მცოცავი განაკვეთის კუპონი tibR6M+3.5%. ობლიგაციები დაფარვას ექვემდებარება გამოცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში, 2026 წლის 27 დეკემბერს, ნახევარწლიური პროცენტის გადახდით.

ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით კომპანიამ გაწია ანდერრაიტინგის საფასურის ხარჯები. ეს ხარჯები აღირიცხება, როგორც ოპერაციის ხარჯები და შეყვანილია ობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში. ეს ხარჯები გადავადებულია ობლიგაციების არსებობის მანძილზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს წმინდა ვალის ანალიზს და კომპანიის ვალდებულებების მოძრაობას საფინანსო საქმიანობიდან თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების პუნქტები არის ის, რაც ანგარიშგებულია, როგორც საფინანსო ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

	ნასესხები სახსრები
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**82,157**
საპროცენტო ხარჯი	5,000
ძირი თანხის დაფარვა	(1,507)
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	1,155
სავალუტო კორექტირებები	25
პროცენტის დაფარვა	(4,909)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**81,921**
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**80,320**
საპროცენტო ხარჯი	4,796
ძირი თანხის დაფარვა	(1,816)
სავალუტო კორექტირებები	(46)
პროცენტის დაფარვა	(4,694)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან, 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**78,560**

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი (მათ შორის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და აქციების 100%, რომლებიც ეკუთვნის შპს Watertrail Industries (BVI) და შპს Investico Alliance (BVI)) და აქტივები, რომლებსაც კომპანია შეიძენს მომავალში, დაგირავებულია მესამე მხარეებისთვის უზრუნველყოფის სახით ბანკიდან ნასესხებ სახსრებთან დაკავშრებით.

15 საიჯარო ვალდებულებები

კომპანიამ საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად აღიარა:

	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	12,309	11,505
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	22,757	15,359
სულ საიჯარო ვალდებულებები	**35,066**	**26,864**

საიჯარო ვალდებულებების დასაფარად გადახდილმა თანხამ 2026 წლის 30 ივნისით დასრულებულ 6 თვიან პერიოდში შეადგინა 8,620 ათასი ლარი (2025 წლის პირველ ნახევარში 7,662 ათასი ლარი).

საიჯარო ვალდებულებების შეჯერება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს საიჯარო ვალდებულებების ანალიზს და ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებების მოძრაობებს თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებათა პოზიციები მოცემულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც საფინანსო:

	საიჯარო ვალდებულება
საიჯარო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**24,648**
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	1,554
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(1,554)
ახალი იჯარის ვალდებულების დამატება ან ხელახალი შეფასება	5,222
ძირი თანხის გადახდა	(6,108)
სავალუტო შემოსულობა	(111)
საიჯარო ვალდებულება 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**23,651**
საიჯარო ვალდებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**26,864**
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	2,002
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(2,002)
ახალი იჯარის ვალდებულების დამატება ან ხელახალი შეფასება	15,053
ძირი თანხის გადახდა	(6,618)
სავალუტო ხარჯი	(233)
საიჯარო ვალდებულება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**35,066**

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	30 ივნისი 2026	31 დეკემბერი 2025
ვალდებულებები:		
- გრძელვადიანი აქტივებისთვის	23,777	34,275
- მომსახურებისთვის	7,865	8,748
- როუმინგის დარიცხული ფასდაკლებებისთვის	5,516	5,799
- ურთიერთჩართვისთვის	1,294	372
- როუმინგისთვის	613	569
- მარაგებისთვის	401	171
სხვა	2,228	1,925
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**41,694**	**51,859**

ფინანსური ვალდებულებების გადასახდელ თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება და ჩვეულებრივ იფარება 30-დან 365 დღემდე ვადაში.

17 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

სრული ამონაგები აღიარდება დროთა განმავლობაში და ამონაგები მომსახურებიდან საანგარიშო და შესადარისი პერიოდებისთვის მოიცავდა შემდეგს:

	2026 HY1	2025 HY1
ამონაგები პაკეტებიდან	70,135	60,404
ამონაგები წინასწარი გადახდის სისტემებიდან (pay-as-you-go)	14,851	14,218
ამონაგები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	3,369	3,359
ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან	2,959	3,457
სტუმრის როუმინგი	2,235	2,971
სხვა	3,095	2,896
სულ ამონაგები მომსახურებიდან	**96,644**	**87,305**

18 მომსახურების ხარჯები

30 ივნისს დასრულებული 2026 და 2025 ნახევარწლებისთვის, მომსახურების ხარჯები შემდეგისგან შედგებოდა:

	2026 HY1	2025 HY1
ურთიერთჩართვის ღირებულება	4,616	4,708
კონტენტის ღირებულება	1,244	1,264
მონაცემთან მომსახურების ღირებულება	911	615
როუმინგის ღირებულება	890	823
ტრანსპორტირების ქსელის ქირა	635	589
A2P შეტყობინებების ღირებულება	193	487
სხვა	-	-
სულ მომსახურების ღირებულება	**8,489**	**8,486**

19 სხვა საოპერაციო ხარჯები

საანგარიშო პერიოდისთვის სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2026 HY1	2025 HY1
საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა	3,364	2,836
პროფესიული მომსახურების საფასური*	1,484	1,617
საკონტრაქტო ხარჯების ამორტიზაცია	815	720
ქონების გადასახადი	793	519
მარეგულირებლის საფასური	724	655
საგადასახადო ხარჯები მოგების გადასახადის გარდა	550	517
მივლინებები	320	331
დილერის საკომისიო	130	58
ჩასარიცხი ტერმინალების მომსახურების საკომისიო	121	115
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების დარიცხვა/(აღდგენა)	391	(337)
სხვა	573	699
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**9 265**	**7,730**

20 ფინანსური ხარჯები

საანგარიშო პერიოდისთვის ფინანსური ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2026 HY1	2025 HY1
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	4,796	5,000
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	2,002	1,554
სულ ფინანსური ხარჯები	**6,798**	**6,554**

21 ფინანსური შემოსავალი

საანგარიშო პერიოდისთვის ფინანსური შემოსავლები შედგებოდა შემდეგისგან:

	2026 HY1	2025 HY1
საპროცენტო შემოსავალი	2,026	2,085
საიჯარო ვალდებულებების დროზე ადრე ანგარიშსწორებიდან მიღებული შემოსულობა	-	122
სულ ფინანსური შემოსავალი	**2,026**	**2,207**

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, როდესაც მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირე-ბული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
უშუალო მშობელი				
შპს Watertrail Industries	-	7	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
ჯგუფის სხვა კომპანიები	17	2,157	1	217

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები და 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	30 ივნისი 2025		31 დეკემბერი 2025	
	დაკავშირებული მხარეებისთვის მიყიდვები	შესყიდვები/ ხარჯები დაკავშირე-ბული მხარეებისგან	დაკავშირებული მხარის დავალიანების ოდენობა	დაკავშირებული მხარის მიმართ დავალიანების ოდენობა
უშუალო მშობელი				
შპს Watertrail Industries	-	-	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
ჯგუფის სხვა კომპანიები	7	1,648	1	230

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მთლიანი ანაზღაურება მმართველი ხელმძღვანელი პირებისთვის (მათ შორის გენერალური დირექტორის, ფინანსური დირექტორის, კომერციული დირექტორის, ტექნიკური დირექტორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორის, იურიდული დირექტორის, პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საკითხთა დირექტორის, ეთიკისა და კომპლაენსის სამსახურის ხელმძღვანელის, მომხმარებლის გამოცდილების მენეჯერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის და პროექტების მართვის დირექტორის), რომელიც გატარებულია თანამშრომლების სარგებლის ხარჯებში, შეადგენდა GEL 2,198 ათას ლარსა და 1,500 ათას ლარს 2026 წლის 30 ივნისს და 2025 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვის შესაბამისად. მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ძირითადად შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და შესრულების პრემიისგან, რომელიც ეფუძნება საოპერაციო შედეგებს.

23 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანი არის კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას აქვს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც უშუალოდ მისი ოპერაციებიდან არის წარმოქმნილი.

თავისი ოპერაციებიდან გამომდინარე, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო ფასების რისკი;
- ლიკვიდობის რისკი.

ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის აღნიშნული რისკების სამართავად დადგენილი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები, და მათი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები .კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც გამომდინარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რისკები, არის შემდეგი:

- სავაჭრო მოთხოვნები;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- სესხები და ნასესხები სახსრები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო გაყიდვებისგან წარმოქმნილ საკრედიტო რისკებს. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური პოზიცია წარმოდგენილია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. რისკების მართვის მიზნით საკრედიტო რისკის შეფასება კომპლექსურია და მოითხოვს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება ბაზრის პირობის, მოსალოდნელი ფულადი ნაკადის და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელისთვის საკრედიტო რისკის შეფასება მოითხოვს დეფოლტის ალბათობის, მასთან დაკავშირებული ზარალის კოეფიციენტების და მხარეებს შორის დეფოლტის კორელაციების შემდგომ შეფასებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (ანუ, საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს:

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი. დეფოლტის რისკი ('EAD') არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. დისკონტირების განაკვეთი არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ("EIR") ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მასთან მიახლოებული. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოდელირებულია ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდზე. სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდი უტოლდება სავალო ინსტრუმენტების დაფარვამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს, დაკორექტირებულს მოსალოდნელი გადახდილი ავანსებისთვის, თუ ასეთი არსებობს. ხელმძღვანელობა ახდენს *სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელირებას, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით. ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეწონილ ცვლილებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- მსესხებელმა 90 დღეზე მეტი გადააცილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- მსესხებელი გარდაცვლილია;
- მსესხებელი გადახდისუუნაროა;

გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტ-გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ზემოთ ხსენებული დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება კომპანიის ყველა ტიპის აქტივებისთვის.

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს SICR-ის მქონედ მიიჩნევს, როდესაც ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი დაკმაყოფილდება.

- მსესხებელს აქვს საკონტრაქტო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება

კომპანია ECL-ს პორტფელის საფუძველზე აფასებს. როდესაც შეფასება ხორციელდება პორტფელის საფუძველზე, კომპანია აანალიზებს მის დაქვემდებარებას საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრული სეგმენტების მიხედვით, ისე, რომ ჯგუფში არსებული ექსპოზიციები ერთგვაროვან ან მსგავს რისკებს შეიცავს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო წლის და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკის ან კოლექტიური სეგმენტისთვის. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ECL-ის გასაანგარიშებლად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ან მის მიახლოებულ მნიშვნელობას.

საბაზრო ფასის რისკი. საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკისგან.

a. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება მერყევი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული ოდენობები საბალანსო ღირებულებით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია უფრო ადრეულის, სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების ან დაფარვის თარიღების მიხედვით:

	მოთხოვნა 1 თვე და ნაკლები	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1 წელზე მეტი**	**არაფულადი**	**სულ**
2026 წლის 30 ივნისი						
სულ ფინანსური აქტივები	49,216	-	-	-	-	**49,216**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(108,445)	(7,005)	(7,760)	(32,110)	-	**(155,320)**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2026 წლის 30 ივნისს	**(59,229)**	**(7,005)**	**(7,760)**	**(32,110)**	**-**	**(106,105)**
2025 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	51,571	-	-	-	-	**51,571**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(53,433)	(71,157)	(7,452)	(27,001)	-	**(159,043)**
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2025 წლის 31 დეკემბერს	**(1,862)**	**(71,157)**	**(7,452)**	**(27,001)**	**-**	**(107,472)**

b. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც კომპანია ახორციელებს ოპერაციებს, რომლებიც დენომინირებულია მისი სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში.

საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს მის ნასესხებ სახსრებზე. 2026 წლის 30 ივნისის და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები წარმოდგენილი იყო როგორც სამუშაო ვალუტაში ასევე ევროში. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. კომპანია მიზნად ისახავს შესაბამის ვალუტაში არსებული ხარჯებისა და ინვესტიციების დაფინანსებას და სავალუტო რისკის მართვას ადგილობრივ დონეზე იმ ვალუტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანით, რომელშიც ის გამოიმუშავებს ამონაგებს და რომლითაც ის გასწევს ხარჯებს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია მგრძნობელობა აშშ-ს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებებთან მიმართებაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების შემთხვევაში.

	30 ივნისი 2026		**31 დეკემბერი 2025**	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	**გავლენა კაპიტალზე**	**გავლენა მოგებაზე ან ზარალზე**	**გავლენა კაპიტალზე**
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(3,052)	(3,052)	(1,770)	(1,770)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	3,052	3,052	1,770	1,770
ევროს გამყარება 10%-ით	(105)	(105)	580	580
ევროს გაუფასურება 10%-ით	105	105	(580)	(580)

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება სავალუტო რისკს, წარმოდგენილია ქვემოთ:

	30 ივნისი 2026			31 დეკემბერი 2025		
	ფულადი ფინანსური აქტივები	**ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები**	**ნეტო საბალანსო პოზიცია**	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები**	**ნეტო საბალანსო პოზიცია**
აშშ დოლარი	7,746	(38,269)	(30,523)	15,496	(33,197)	(17,701)
ევრო	400	(1,448)	(1,048)	7,332	(1,528)	5,804
სულ	**8,146**	**(39,717)**	**(31,571)**	**22,828**	**(34,725)**	**(11,897)**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან, ფინანსირების დანახარჯებიდან და სავალო ინსტრუმენტებზე ძირი თანხის გადახდებიდან და იჯარის საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანიას შეექმნება ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სირთულე.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	**3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 12 თვემდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ არადისკონტირ ე-ბული**
სესხები და ნასესხები სახსრები	78,560	1,362	72,868	10,898	-	**85,128**
საიჯარო ვალდებულებები	35,066	4,389	11,517	22,301	6,467	**44,674**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	41,694	37,564	4,130	-	-	**41,694**
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**155,320**	**43,315**	**88,515**	**33,199**	**6,467**	**171,496**

ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	**3 თვეზე ნაკლები**	**3-დან 12 თვემდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ არადისკონტირე-ბული**
სესხები და ნასესხები სახსრები	80,320	1,366	76,637	13,662	-	**91,665**
საიჯარო ვალდებულებები	26,864	3,980	10,517	17,721	678	**32,896**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51,859	39,470	12,389	-	-	**51,859**
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**159,043**	**44,816**	**99,543**	**31,383**	**678**	**176,420**

24 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის ამოცანებია დაიცვას კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს აქციონერებისთვის ამონაგების განაწილება და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სარგებლის მოტანა და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებზე გადასახდელი დივიდენდების ოდენობა, აქციონერებისთვის კაპიტალის დაბრუნება, გამოსცეს ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები, ვალის შემცირების მიზნით. კომპანიის ხელმძღვანელობას შემუშავებული არ აქვს კაპიტალის მართვის მკაფიო პროცედურა.

25 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი პირდაპირ (ფასების სახით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებადია და (iii) მესამე დონის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ ბაზარზე არსებულ დაკვირვებად მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. სამართლიანი ღირებულებები გაანალიზებული მათი დონის მიხედვით რეალური სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

	30 ივნისი 2026				31 დეკემბერი 2025			
	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალა-ნსო ღირებუ-ლება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალა-ნსო ღირებუ-ლება
აქტივები								
აქტივები ამორტიზებული ღირებულებით								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24	39,123	-	**39,147**	12	41,097	-	**41,109**
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	10,069	**10,069**	-	-	10,462	**10,462**
სულ ფინანსური აქტივები	**24**	**39,123**	**10,069**	**49,216**	**12**	**41,097**	**10,462**	**51,571**
ვალდებულებები								
ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით								
-სესხები და ნასესხები სახსრები	-	13,666	64,894	**78,560**	-	15,547	64,773	**80,320**
-საიჯარო ვალდებულებები	-	-	35,066	**35,066**	-	-	26 864	**26 864**
-სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	41,694	**41,694**	-	-	51 859	**51 859**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**13,666**	**141,654**	**155,320**	**-**	**15,547**	**143,496**	**159,043**

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

25 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

26 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2026 წლის 30 ივნისისთვის მოცემულია ქვემოთ:

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარვამდე (a)	**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარული მთლიანი თანხები (b)**	**ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვის შემდეგ (c) = (a) – (b)**
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	3,608	(339)	3,269
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	4,450	(1,573)	2,877
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**8,058**	**(1,912)**	**6,146**
ვალდებულები			
ვალდებულებები როუმინგისთვის	(952)	339	(613)
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	(7,089)	1,573	(5,516)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(8,041)**	**1,912**	**(6,129)**

26 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის აღსრულებად გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

	მთლიანი თანხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარვ ამდე (a)	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთერთგადაფარული მთლიანი თანხები (b)	ნეტო თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვ ის შემდეგ (c) = (a) – (b)
აქტივები			
მოთხოვნები როუმინგის პარტნიორებისგან	4,218	(276)	3,942
მოთხოვნები დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	5,255	(2,052)	3,203
სულ აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**9,473**	**(2,328)**	**7,145**
ვალდებულები			
ვალდებულებები როუმინგისთვის	(845)	276	(569)
ვალდებულება დარიცხული როუმინგის ფასდაკლებებისგან	(7,851)	2,052	(5,799)
სულ ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას, ურთიერთჩათვლის გენერალურ შეთანხმებას და მსგავს შეთანხმებებს	**(8,696)**	**2,328**	**(6,368)**

სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი 2026

სარჩევი

02 კომპანიის შესახებ

06 მაკროეკონომიკური მიმოხილვა

08 ბაზრის მიმოხილვა

15 ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

22 კომპანიის ძირითადი რისკები

24 მობილური ქსელი და ტექნოლოგიები

27 კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია

33 ადამიანური კაპიტალი

სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

კომპანიის შესახებ

სელფი მობაილ სრულად ქართული ტელეკომ ოპერატორია, რომელიც ახალ გამოცდილებას ქმნის კავშირგაბმულობის ბაზარზე.

სელფი მობაილმა საქართველოში პირველმა შესთავაზა მომხმარებლებს 4G/LTE და 5G ტექნოლოგიები. 2024 წლის დეკემბერში სელფი მობაილ Vodafone Group-ის პარტნიორი გახდა და 2025 წლის თებერვალში, გახდა პირველი ტელეკომ კომპანია საქართველოში რომელმაც შესთავაზა მომხმარებელს ლოილაობის პლატფორმა. პროგრამა, ამავდროულად წარმოადგენს Vodafone -ის მსოფლიოში აღიარებული ლოიალობის პლატფორმის ადგილობრივ ადაპტაციას.

მისი განვითარებული ციფრული ეკოსისტემის დამსახურებით, სელფი მობაილ დგას დიჯითალ ტრანსფორმაციის სათავეში, რომლის არსიც სიახლეებისთვის - მათ შორის ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის - მომხმარებლის მზადყოფნაა. სელფი მობაილ საუკეთესო თანამედროვე მიღწევებს მომხმარებლის საჭიროებებს არგებს და მუდმივად სთავაზობს ისეთ ინოვაციას, რომელიც აუმჯობესებს ყოველდღიურ მოთხოვნებს.

საანგარიშო პერიოდისთვის სელფი მობაილ 1.39 მილიონ მომხმარებელს ემსახურება საქართველოში. კომპანია აერთიანებს ადგილობრივ ტელეკომ ინდუსტრიაში მოღვაწეობის მრავალწლიან გამოცდილებას და მნიშვნელოვან საერთაშორისო პრაქტიკას. სელფი მობაილს დანერგილი აქვს გლობალური ტელეკომ ინდუსტრიის საუკეთესო სტანდარტები, მათ შორის ეთიკისა და კომპლაენსის, მომხმარებლის მონაცემების დაცვისა და ბიზნეს პროცესების ეფექტურობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით.

ისტორია და იურიდიული სტატუსი

შპს „სელფი მობაილ“ („კომპანია“) დაარსდა 2003 წლის 19 ნოემბერს შპს „მობიტელის“ სახელით. 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული რებრენდინგის შედეგად კომპანიამ ოპერირება სელფი მობაილის ბრენდით დაიწყო, შესაბამისად შეიცვალა იურიდიული სახელწოდებაც და 2023 წლის აპრილის თვიდან შპს „სელფი მობაილ“ გახდა. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 204450584, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ბამბის რიგი #8.

2026 წლის აპრილის თვიდან კომპანიის სათაო ოფისის ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგის ღობესა და საპროექტო გზას შორის.

კომპანიამ თავის საბოლოო ბენეფიციართან, ხვიჩა მაქაცარიასთან, ერთად 2023 წლის დასაწყისში კომპანია შპს „პეისი“ დაარსა, სადაც 51%-იან წილს ფლობს. შვილობილი კომპანია საანგარიშო პერიოდსთვის არ არის მოქმედი.

კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა

კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურაში ბოლო ცვლილებები 2023 წლის ივლისში შევიდა, კერძოდ, მაშინდელმა საბოლოო ბენეფიციარმა ხვიჩა მაქაცარიამ თავისი 100%-იანი წილი შპს „სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.“-ზე სრულად გაასხვისა, თუმცა ის მაინც რჩება კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურაში შპს „მირენ ინვესტის“ მხრიდან, საიდანაც კომპანიის მაკონტროლებელი 59,1% წილი უჭირავს. შპს „სილქ როუდ გრუპ ბ.ვ.“-ს წილს შპს „მირენ ინვესტთან“ ერთად ფლობენ შპს „გაზტრანზიტი“ (38,4%) და შპს „სილვერ ლეიქ“ (2,5%), საბოლოო

ბენეფიციარებს კი ხვიჩა მაქაცარიასთან ერთად მამუკა ტოგონიძე (38,4%), კონსტანტინ სახოკია (1,25%) და იულია დედოვა (1,25%) წარმოადგენენ.

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა უცვლელია.



მმართველი ორგანო და მენეჯმენტი

კომპანიის მაკონტროლებელი წილის მფლობელს, ხვიჩა მაქაცარიას, აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი და ფლობს ბიზნესებს სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის: ენერგეტიკაში, ტრანსპორტირებასა და ფიქსირებული ინტერნეტის სექტორში. მის მფლობელობაში ასევე არის CBS ჰოლდინგური საინვესტიციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია გამორჩეული შედეგების მქონე პროფესიონალი კადრებით. აქედან გამომდინარე, ჯგუფს/ ბიზნესმენს სხვადასხვა კომპანიებში დაგროვილი აქვს ცოდნა და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია სელფი მობაილისთვის. ამის გარდა, ჯგუფის სიდიდის წყალობით კომპანიას ფართო წვდომა უჩნდება კაპიტალის ბაზრებსა და ინვესტორების ბაზაზე.

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტები კომპანიის კონტროლი და მართვა გამიჯნულია პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს კომპანიის გენერალური დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

კომპანიის პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალურ დირექტორი, გენერალური დირექტორს დაქვემდებარებულ მენეჯერთა ჯგუფი და კომპანიაში არსებული სხვა საბჭო/კომიტეტები, განსაზღვრავს, აკონტროლებს და ინარჩუნებს პარამეტრებსა და სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს კომპანიამ.

სელფი მობაილში კორპორატიული მართვის პროცესები რეგულირდება სხვადასხვა შიდა პოლიტიკებით, როგორებიცაა მაგალითად: უფლებამოსილების მატრიცა, ქცევის კოდექსი, ხელშეკრულების სტანდარტებისა და მართვის პროცედურა, კიბერ უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემთა დაცვისა პოლიტიკები და სხვა.

ასევე კომპანიაში მოქმედებს რისკებისა და შიდა აუდიტის/კონტროლების კომიტეტი, რომლის მიზანია გადახედოს და შეაფასოს კომპანიის ზოგადი რისკების პროფილი, უზრუნველყოს რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და რისკების ზედამხედველობა კომპანიის მენეჯმენტის მიერ;

შიდა კონტროლი და რისკების მართვა გადამწყვეტია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მთლიანობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად.

კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს გონივრული გარანტია მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

კომპანია იცავს COSO ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას ეფექტური შიდა კონტროლისა და რისკის მართვის პრაქტიკის შემუშავებისა და დანერგვისთვის. ეს ჩარჩო კომპანიას ეხმრება ჩამოაყალიბოს ძლიერი სისტემა, რომელიც ადაპტირდება განვითარებად ბიზნეს გარემოსთან.

ძლიერი შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების შენარჩუნება აუცილებელია ზუსტი ფინანსური ანგარიშგებისა და ორგანიზაციული წარმატებისთვის. კომპანია აგრძელებს ამ სისტემების გაძლიერებას, რათა დააკმაყოფილოს მმართველობისა და გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტები.



სელფი
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი 2026

მაკროეკონომიკური მიმოხილვა



ინფლაცია - 2026 წლის ივნისში წლიურმა ინფლაციამ 5.8%-ს მიაღწია. ფასების ზრდაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კვლავ სურსათისა და ტრანსპორტის ჯგუფებმა იქონიეს. წლიურ ინფლაციაში ყველაზე დიდი 1.33 პროცენტული პუნქტის წვლილი საწვავის ფასების ზრდამ შეიტანა.

ეკონომიკური ზრდა - სანგარიშო პერიოდის ბოლოს წინასწარი შეფასებით რეალური მშპ წლიურად 8.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2026 წლის პირველ ნახევარში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 7.9% შეადგინა. 2026 წლის ივნისში ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მრეწველობამ, ტრანსპორტირებამ, მშენებლობამ, ICT და საფინანსო სექტორებმა შეიტანეს. ეროვნული ბანკის შეფასებით, 2026 წლის ზრდის პროგნოზი 6.5%-ზე ნარჩუნდება.

ტურიზმის შემოსავლები - 2026 წლის მეორე კვარტალში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 1.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.8%-ით ნაკლებია. ამავე პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 4.5%-ით შემცირდა და 1.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ვიზიტორებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების კლება აშშ-ირანის კონფლიქტს უკავშირდება.

აღმოსავლეთ აზიიდან ვიზიტორთა რაოდენობა 42%-ით, 64 ათასით შემცირდა, რამაც ტურიზმის შემოსავლებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა.

საერთაშორისო რეზერვები - 2026 წლის ივნისის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვებმა ისტორიულ მაქსიმუმს, 7.1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის ბოლო მაჩვენებელს თითქმის 1 მილიარდით აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ ივნისში ეროვნულმა ბანკმა 100 მილიონი აშშ დოლარის ოქრო შეიძინა, ფასის შემცირების გამო, ოქროს რეზერვების ღირებულება თებერვალთან შედარებით 184 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. შესაბამისად, მიმდინარე წელს რეზერვების ზრდა ძირითადად უცხოური ვალუტის მოცულობის მატებამ განაპირობა.

გაცვლითი კურსი - 2026 წლის პირველ ნახევარში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით გამყარდა, რასაც ხელი შეუწყო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, ფულადი გზავნილებისა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ. კურსის ამ ტენდენციამ ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა საერთაშორისო რეზერვები გაეზარდა სავალუტო ბაზარზე განხორციელებული ინტერვენციების გზით. სავალუტო კურსის სტაბილურობა მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება იმ კომპანიებისთვის, რომელთა საინვესტიციო ხარჯები და სავალო ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.



სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

ბაზრის მიმოხილვა

სელფი მობაილის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მობილურ საცალო და საბითუმო სატელეკომუნიკაციო მომსახურებებს. კომპანია მობილური საცალო სატელეკომუნიკაციო მომსახურების სახით მომხმარებლებს (როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირებს) სთავაზობს ხმოვან, მოკლე ტექსტურ შეტყობინებასა და ინტერნეტის სერვისს, მრავალფეროვანი პროდუქტების სახით.

მობილური საბითუმო მომსახურების სახით კომპანია სატელეკომუნიკაციო ქსელის ელემენტებით/ტექნიკური საშუალებებით გამოყენებასთან/დაშვებასთან დაკავშირებულ მომსახურებას სთავაზობს, რაც ურთიერთჩართვისა (როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო) და როუმინგის მომსახურებას უზრუნველყოფს.

სელფი მობაილთან ერთად საქართველოში მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ძირითად მონაწილეებს შპს მაგთიკომი და სს სილქნეტი წარმოადგენენ. კომპანია ბაზარს 10 წლის დაგვიანებით შემოუერთდა და დღეისათვის შემოსავლებისა (18.30%) და აბონენტების (23.43%) რაოდენობით მესამე ადგილს იკავებს.

მობილური საცალო ბაზრის შემოსავლები

2026 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით საქართველოს მობილური საცალო ბაზარი ინარჩუნებს სტაბილური ზრდის დინამიკას, ბაზრის მოცულობამ 476,06 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 38,39 მილიონი ლარით, ანუ 8,77%-ით არის გაზრდილი.

	Y/Y (ABS)	Y/Y (%)
	მობილური ბაზარი	
	38.39	8.77%
	სელფი მობაილ	
საუკეთესო მაჩვენებელი ბაზარზე >	10.20	13.25%
	ბაზრის წილის ცვლილება	
საუკეთესო მაჩვენებელი ბაზარზე >	0.72	4.12%



ამ ფონზე კომპანიის ზრდის ტემპი ბაზრის საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება: ნახევარწლიურმა შემოსავალმა 87,13 მილიონი ლარი შეადგინა და წინა წლის შესადარის პერიოდთან მიმართებაში 10,2 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც 13,25%-იან ზრდას წარმოადგენს, 1,5-ჯერ მეტს, ვიდრე ბაზრის საერთო 8,77%-იანი ზრდა. ეს ტემპი ასევე აღემატება ორივე მთავარი კონკურენტის მაჩვენებელს: სილქნეტი - 6,77%-იანი ზრდა, მაგთიკომი - 8,60%-იანი ზრდა.

ბაზრის საშუალო ტემპზე მაღალმა ზრდამ პირდაპირ კომპანიის საბაზრო წილზე იქონია გავლენა და 18,30% შეადგინა, წინა წლის შესაბამის პერიოდში დაფიქსირებული 17,58%-ის წინააღმდეგ (+0,72 პროცენტული პუნქტი). ეს მაჩვენებელი ასევე აღემატება 2025 წლის მთლიან წლიურ მონაცემს (17,76%, 0,54 პპ), რაც ცხადყოფს, რომ საბაზრო წილის ზრდის ტენდენცია არა მხოლოდ შენარჩუნებულია, არამედ დაჩქარებულია.

ჯამში, კომპანია პერიოდის განმავლობაში ორივე მთავარ კონკურენტსა და ბაზრის საშუალო ტემპს აჭარბებს ზრდის სისწრაფით, რაც მისი კონკურენტული პოზიციის თანმიმდევრულ გაძლიერებაზე მეტყველებს.





მობილური აბონენტები

მობილურმა სატელეკომუნიკაციო ბაზარმა 2026 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, წინა წლის ბოლოსთან შედარებით, 110 ათასი აბონენტით (1.9%-ით) იმატა და 6,02 მილიონ აბონენტი შეადგინა.

	Y/Y (ABS)	Y/Y (%)
	მობილური ბაზარი	
	109.9	1.86%
	სელფი მობაილ	
საუკეთესო მაჩვენებელი ბაზარზე >	48.6	3.62%
	ბაზრის წილის ცვლილება	
საუკეთესო მაჩვენებელი ბაზარზე >	0.39	1.73%

ამ ფონზე კომპანიის მობილური აბონენტების რაოდენობამ 48,6 ათასით (3,62%) მოიმატა და 1,39 მილიონს მიაღწია, რაც ბაზრის 23,13%-ს შეადგენს (+0,39 პპ). ეს ცვლილება პირდაპირ კონკურენტებთან შედარებით საკმაოდ პოზიტიურია - სილქნეტი 0,40 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო მაგთიკომის წილი მხოლოდ 0,01 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის აბონენტთა ზრდის ტემპი ბაზრის საშუალო ტემპს 2-ჯერ აღემატება, რაც პირდაპირ ხსნის საბაზრო წილის ზრდას და მიუთითებს კომპანიის კონკურენტული პოზიციის განმტკიცებაზე.



აბონენტზე საშუალო შემოსავალი

2026 წლის პირველ ნახევარში, კომპანიის შემოსავლისა და აბონენტთა ბაზის ზრდას, ორგანულად მოყვა აბონენტზე საშუალო შემოსავლის მაჩვენებლის ზრდაც და 10,82 ლარი შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდის ტემპი ბოლო 12 თვის მანძილზე პოზიტიური შენარჩუნდა და 0,43% შეადგინა, მაშინ როცა საბაზრო მაჩვენებელმა კონკურენტებთან ერთად უარყოფითი ზრდის ტემპი აჩვენა (ბაზარი: -0,1%, სილქნეტი: -0,08, მაგთიკომი: -0,34%).



შესაბამისად, ამ პერიოდში კომპანიის აბონენტის საშუალო შემოსავალი საბაზროს დაუახლოვდა, მაშინ როცა დანარჩენი ბაზრის მონაწილეები ამ პოზიციას მცირედით მაგრამ კარგავენ.

მობილური ინტერნეტი

მობილური ინტერნეტი სელფის ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობაა. ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით - შეღწევადობის მაჩვენებლით, ტრაფიკის ზრდით და ერთ აბონენტზე მოხმარების ზრდით საანგარიშო პერიოდისთვის საქართველოს მობილური ბაზრის ლიდერობას ინარჩუნებს.

2026 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მობილური ინტერნეტის ტრაფიკი 2025 წლის პირველ ნახევართან შედარებით 38,25%-ით გაიზარდა და 537 ტერაბაიტი შეადგინა.



სელფი მობაილის მობილური ინტერნეტ ტრაფიკი გაზრდილია რეკორდული 58.1%-ით 2025 წლის პირველ ნახევართან შედარებით. ამავე პერიოდში, საერთო ბაზრის ზრდაში კომპანიის წილმა 27.32%-ს შეადგინა, რომელიც ბაზრის მეორე მონაწილესთან (სილქნეტი) შედარებით 0.15პპ-ით მეტია და ბაზრის ლიდერთან (მაგთიკომი) 18.19პპ-ით ნაკლები, რაც საერთო ჯამში კომპანიის ინტერნეტ მომხმარებლების შეღწევადობის მაჩვენებლის სიდიდეზე მიუთითებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ამტკიცებს ქსელის განვითარების/გაფართოების შედეგებს.



მობილური ინტერნეტ მომხმარებლებლის შეღწევადობის მაჩვენებელი

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მობილური ინტერნეტ აბონენტების შეღწევადობის მაჩვენებელი ჯამური მობილური აბონენტების რაოდენობაში 3.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 79.9% შეადგინა (2025 წლის ბოლოს 76.6%) რაც იმას ნიშნავს, რომ მობილური ქსელის აბონენტები სულ უფრო უპირატესობას ინტერნეტ მომსახურებას ანიჭებენ. მრავალფეროვანი ინტერნეტ პაკეტების შემოთავაზება კი ამის საშუალებას აძლევს.



აღსანიშნავია, რომ კომპანიის საკუთარ ქსელში აღნიშნული მაჩვენებელი ისევ საუკეთესოა ბაზარზე და 94%-იან წილს ინარჩუნებს, კონკურენტებთან აღნიშნული მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდისთვის შემდეგნაირად გადანაწილდა (სილქნეტი: 78%, მაგთიკომი: 73%).

მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება აბონენტზე

სელფი მობაილის მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარებამ ერთ აბონენტზე 2026 წლის პირველი ნახევრის ბოლოს 15,83 GB შეადგინა, რაც წინა წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით 46,36%-იან ზრდას წარმოადგენს, ხოლო ბოლო 12 თვის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით 17%-იანი ზრდაა, რაც ბაზარზე კვლავ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.



სელფი მობაილის უპირატესობა ზრდის ტემპებში ცხადად ჩანს კონკურენტების მონაცემებთან შედარებისას. სილქნეტთან აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 17,97 GB (19.36%-იანი ზრდა), ხოლო ბოლო 12 თვის საშუალომ 17,58 GB (2.22%-იანი ზრდა). მაგთიკომთან საანგარიშო პერიოდის ბოლოს მაჩვენებელმა შეადგინა 25,45 GB (8.79%-იანი ზრდა შესადარის პერიოდთან), ბოლო 12 თვის საშუალო მაჩვენებელი კი 26,13 GB-ია (2.61%-იანი კლება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთან შედაებით). მაგთიკომის საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ბოლო 12 თვის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით ზრდის ტემპები საგრძნობლად განსხვავდება, რაც მიუთითებს აბონენტების მხრიდან ინტერნეტის მოხმარების არათანაბარ დინამიკაზე.

მობილური ხმოვანი ტრაფიკი



2026 წლის პირველ ნახევარში მობილური ხმოვანი ტრაფიკის შემცირება, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდებში, აბონენტების მოთხოვნის ცვლილების არსებული დინამიკით არის განპირობებული - ჩაანაცვლონ მობილური ხმოვანი სერვისები მობილური ინტერნეტით, რაც სრულ თანხვედრაშია გლობალურ ტენდენციებთან.

მოკლე ტექსტური შეტყობინების ტრაფიკი



საანგარიშო პერიოდისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების ბოლო 12 თვის საშუალო ზრდის ტემპი ბაზარზე 0.2%-ს უტოლდება, სელფი მობაილისთვის ის უარყოფითია (-0.83%), ხოლო ბაზრის დანარჩენი მონაწილეებისათვის მცირედით პოზიტიური (სილქნეტი: 0.35%-იანი ზრდა, მაგთიკომი: 0.7%-იანი ზრდა).

სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა



შემოსავლების და EBITDA-ს ორნიშნა ზრდა

შემოსავალი 96,7 მლნ ₾
11%-იანი ზრდა

EBITDA* 50,2 მლნ ₾
12%-იანი ზრდა

წმინდა მოგება 19,2 მლნ ₾
11%-იანი შემცირება

წმინდა მარჟა 19.8%
1.9 პპ-ით შემცირება

2026 HY მოგება-ზარალის ანგარიში

საოპერაციო ხარჯები კატეგორიების მიხედვით · მონაცემები ათასებში



2026 წლის პირველ ნახევარში სელფი მობაილმა ორნიშნა შემოსავლების ზრდა შეინარჩუნა და საოპერაციო მომგებიანობა გაამყარა. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 96.6 მლნ ლარამდე (+10.7%), EBITDA-მ შეადგინა 50.2 მლნ ლარი (+11.9%) 51.9% მარჟით (+0.5 პპ). ამავე დროს საოპერაციო მოგება 4.5%-ით შემცირდა 24.0 მლნ ლარამდე, ხოლო ნახევარი წლის წმინდა მოგება 10.8%-ით - 19.2 მლნ ლარამდე (2025HY: 21.5 მლნ), წმინდა მარჟით 19.8% (-4.8 პპ). შემცირების მიზეზი არა საოპერაციო ეფექტიანობის გაუარესება, არამედ ბოლო ორი წლის მსხვილი კაპიტალური დანახარჯების ასახვაა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში, რომელიც 29.8%-ით გაიზარდა 27.0 მლნ ლარამდე (შემოსავლის 27.9%; 2025HY: 23.8%). ზრდის მთავარი დრაივერი კვლავ პაკეტებიდან მიღებული შემოსავალია (+16.1%; შემოსავლის 72.6%). კომპანია რჩება მაღალ საინვესტიციო ფაზაში: ფულადი კაპიტალური დანახარჯები 28.5 მლნ ლარს შეადგენს (+21.5%; შემოსავლის 29.5%), რის გამოც თავისუფალი ფულადი ნაკადი (OCF - Capex) 6.5 მლნ ლარამდე შემცირდა (2025HY: 14.6 მლნ). ლევერიჯი კონსერვატიული რჩება: წმინდა ვალი 74.5 მლნ ლარია, წმინდა ვალი/LTM EBITDA - 0.74x (2025 წლის ბოლოს: 0.69x), საპროცენტო ხარჯის მომსახურების კოეფიციენტი გაუმჯობესდა 7.4x-მდე, ხოლო კაპიტალის წილი მთლიან აქტივებში 38.0%-დან 42.7%-მდე გაიზარდა.

ძირითადი მაჩვენებელი	2026	2025	YoY (%)
საოპერაციო შედეგები	**2026HY**	**2025HY**	**% / პპ**
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	96,644	87,305	10.7%
EBITDA*	50,197	44,876	11.9%
EBITDA-ის მარჟა	51.9%	51.4%	+0.5 პპ
საოპერაციო მოგება	23,987	25,106	-4.5%
ნახევარი წლის წმინდა მოგება	19,156	21,481	-10.8%
წმინდა ფულადი ნაკადი ოპერაციებიდან	45,980	40,274	14.2%
კაპიტალური დანახარჯები	28,504	23,462	21.5%
ფინანსური მდგომარეობა	**2026HY**	**2025YE**	**% / x**
აქტივები, ჯამი	296,104	282,077	5.00%
კაპიტალი, ჯამი	126,399	107,243	17.90%
წმინდა ვალი**	74,479	66,075	12.70%
წმინდა ვალი / EBITDA***	0.74x	0.69x	+0.05x

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

** EBITDA = საოპერაციო მოგება + ძირითადი საშუალებებისა და სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთა + არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია + ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღდგენა / (გაუფასურება)*

*** წმინდა ვალი = საბანკო სესხები + ობლიგაციები + იჯარის ვალდებულებები – ფული და ფულის ეკვივალენტები – სადეპოზიტო სერტიფიკატები.*

**** წმინდა ვალი / EBITDA გამოთვლილია ბოლო 12 თვის EBITDA-ზე*

შემოსავალი

2026 წლის პირველი ნახევარი კომპანიამ ორნიშნა ზრდით დახურა - შემოსავალი 10.7%-ით გაიზარდა და 96.6 მლნ ლარი შეადგინა. ზრდის ძირითადი მამოძრავებელი კვლავ აბონენტებისგან ორგანული მოთხოვნის ზრდაა, რასაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ქსელის განვითარებამ. შემოსავლის ძირითადმა კომპონენტმა, პაკეტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 16.1%-იანი ზრდა აჩვენა და მთლიან შემოსავალში მისი წილი 69.2%-დან 72.6%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2026 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ 58.1%-ით გაზარდა ინტერნეტ-ტრაფიკი, ხოლო ერთ აბონენტზე ინტერნეტის მოხმარება 14.65 GB-მდე გაიზარდა (44% ზრდა 2025 წლის პირველ ნახევართან შედარებით).

PAYG შემოსავლის კლებადი ტენდენცია შეიცვალა და 2026 წლის პირველ ნახევარში 4.5%-ით გაიზარდა 14.9 მლნ ლარამდე, მაშინ როდესაც 2025 წელს ეს მიმართულება 3%-ით შემცირდა. ანალოგიურად, ურთიერთჩართვის შემოსავალმა მცირედი ზრდა აჩვენა (+0.3% 3.4 მლნ ლარამდე) 2025 წლის 2%-იანი კლების შემდეგ.

სტუმარი როუმინგის შემოსავალი 24.8%-ით შემცირდა 2.2 მლნ ლარამდე, რაც 2025 წლის 24.5%-იანი ზრდის შემდეგ მკვეთრი შებრუნებაა. კლების მიზეზი კომპანიის კონტროლს მიღმაა: ახლო აღმოსავლეთში სამხედრო კონფლიქტმა პირველ ნახევარში შეამცირა გარკვეული ქვეყნებიდან საქართველოში შემომსვლელი ტურისტული ნაკადი და შესაბამისად, სტუმარი როუმერების მოცულობა. მიმდინარე მონაცემებით, შემომსვლელი ნაკადი აღდგენის ფაზაშია. სეგმენტის წილი მთლიან შემოსავალში 2.3%-ია, შესაბამისად კონსოლიდირებულ ზრდაზე მისი გავლენა შეზღუდულია.

A2P შეტყობინებების შემოსავალი 14.4%-ით შემცირდა 3.0 მლნ ლარამდე და გააგრძელა 2025 წლის კლებადი ტენდენცია (2025: -10.8%). მიმართულება მთლიანი შემოსავლის 3.1%-ს შეადგენს, შემოსავლის შემცირებას ნაწილობრივ აბალანსებს შესაბამისი ხარჯის შემცირება - A2P შეტყობინებების თვითღირებულება 0.5 მლნ-დან 0.2 მლნ ლარამდე შემცირდა.

საოპერაციო შემოსავლები	2026 HY1	2025 HY1	YoY (abs)	YoY (%)
ამონაგები პაკეტებიდან	70,135	60,404	9,731	16.10%
Pay-as-you-go შემოსავალი	14,851	14,218	633	4.50%
ამონაგები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	3,369	3,359	10	0.30%
ამონაგები A2P შეტყობინებების მომსახურებიდან	2,959	3,457	(498)	-14.4%
სტუმრის როუმინგი	2,235	2,971	(736)	-24.8%
სხვა	3,095	2,896	199	6.90%
ჯამური საოპერაციო შემოსავლები	96,644	87,305	9,339	10.70%

საოპერაციო ხარჯები	2026HY	2025HY	YoY	%
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	(14,701)	(12,354)	(2,347)	19.00%
გაწეული მომსახურების ხარჯები	(8,489)	(8,486)	(3)	0.00%
კომუნალური ხარჯები	(5,976)	(4,985)	(991)	19.90%
მოვლა-შენახვის ხარჯები	(5,321)	(5,087)	(234)	4.60%
მარკეტინგის ხარჯები	(2,695)	(3,787)	1,092	−28.8%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(9,265)	(7,730)	(1,535)	19.90%
ჯამური საოპერაციო ხარჯები	(46,447)	(42,429)	(4,018)	9.50%

ხარჯები

2026 წლის პირველ ნახევარში მთლიანი საოპერაციო ხარჯები (ცვეთის, ამორტიზაციისა და გაუფასურების აღდგენის გარეშე) გაიზარდა 46.4 მლნ ლარამდე (2025HY: 42.4 მლნ), რაც 9.5%-იან ზრდას შეადგენს. ეფექტიანი მართვის შედეგად ხარჯების ზრდის ტემპი კვლავ ჩამორჩება შემოსავლის ზრდას (+10.7%). ხარჯების დინამიკა კატეგორიების მიხედვით განსხვავებულია:

თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი გაიზარდა +19.0%-ით 14,7 მლნ ლარამდე, რისი უმეტესი ნაწილიც გამოწვეულია ახალი თანამშრომლების დამატებით ქსელისა და სარეალიზაციო ფუნქციების გაფართოების ფარგლებში. ეს პერიოდის ყველაზე მსხვილი ხარჯის ზრდაა აბსოლუტურ მაჩვენებელში (+2,3 მლნ ლარი).

მარკეტინგის ხარჯი 28.8%-ით შემცირდა 2,7 მლნ ლარამდე (2025 HY1: 3,8 მლნ) და შემოსავლის 2.8%-ს შეადგენს (2025 HY1: 4.3%). 2025 წლის ინტენსიური სარეკლამო აქტივობის, მათ შორის 2G ქსელის ტრანსფორმაციის ერთჯერადი პროექტის შემდეგ, 2026 წელს ხარჯი მნიშვნელოვნად დაბალ ნიშნულზე დასტაბილურდა.

კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი ქსელის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა, რისთვისაც აქტიურად მიმდინარეობს ახალი საბაზო სადგურების აშენება. შესაბამისად, გაიზარდა კომუნალური (+19.9%; 6,0 მლნ ლარი) და მოვლა-შენახვის (+4.6%; 5,3 მლნ ლარი) ხარჯები.

სხვა საოპერაციო ხარჯები გაიზარდა +19.9%-ით 9,3 მლნ ლარამდე. ზრდის ძირითადი კომპონენტებია საინფორმაციო ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერა (3,4 მლნ vs 2,8 მლნ), ქონების გადასახადი (0,8 მლნ vs 0,5 მლნ) და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება, სადაც 2025 წლის პირველ ნახევარში აღდგენილი 0,3 მლნ ლარის ნაცვლად 2026 წელს 0,4 მლნ ლარი დაერიცხა.

2026 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ ერთდროულად მიაღწია ორ მიზანს: შეინარჩუნა ორნიშნა ზრდის ტემპი და პარალელურად გააუმჯობესა მომგებიანობა. EBITDA-მ 50.2 მლნ ლარს მიაღწია 51.9% მარჟით (2025 HY1: 44,9 მლნ, 51.4%) - აბსოლუტურ მაჩვენებელში აჩვენა 11.9%-იანი ზრდა, რაც შემოსავლის 10.7%-იან ზრდას აღემატება.

EBITDA-ს ქვემოთ სურათი განსხვავებულია: ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 29.8%-ით გაიზარდა და 27,0 მლნ ლარი შეადგინა (2025 HY1: 20,8 მლნ), ხოლო შემოსავალთან შეფარდებით - 23.8%-დან 27.9%-მდე, რაც 2024–2025 წლებში განხორციელებული მსხვილი კაპიტალური დანახარჯების, მათ შორის 2025 წლის IV კვარტალში შეძენილი სიხშირული ლიცენზიებისა და გაფართოებული სარგებლობის უფლების აქტივების ბაზის ასახვაა.

ნახევარი წლის წმინდა მოგებამ 19,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის 21,5 მლნ ლარს 10.8%-ით ჩამორჩება; წმინდა მოგების მარჟა 24.6%-დან 19.8%-მდე შემცირდა. კომპანიას ფაქტობრივად არ ერიცხება საშემოსავლო გადასახადი, რაც განპირობებულია ქართული (ე.წ. „ესტონური მოდელის") საგადასახადო რეჟიმით, რომლის დროსაც გადასახადი ეკისრება მოგების განაწილებას და არა დარიცხულ მოგებას. პერიოდის განმავლობაში დივიდენდი არ განაწილებულა და მთლიანი მოგება კაპიტალში დარჩა.

აქტივები და კაპიტალური დანახარჯები

მთლიანი აქტივები გაიზარდა 5.0%-ით 296,1 მლნ ლარამდე (2025 წლის ბოლოს: 282,1 მლნ), რაც კომპანიის მხრიდან მსხვილი კაპიტალური დანახარჯებითაა განპირობებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ფარგლებში. კაპიტალურმა დანახარჯებმა პერიოდში 28,5 მლნ ლარი შეადგინა (ძირითადი საშუალებები 22,5 მლნ, არამატერიალური აქტივები 6,0 მლნ), რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის 23,5 მლნ ლარს 21.5%-ით აღემატება და შემოსავლის 29.5%-ს შეადგენს (2025 HY1: 26.9%). კომპანია, შესაბამისად, კვლავ ინტენსიურ საინვესტიციო ფაზაშია.

სარგებლობის უფლების აქტივები მკვეთრად გაიზარდა - 25,0 მლნ-დან 33,3 მლნ ლარამდე (+32.9%) – 10,8 მლნ ლარის დამატებებისა და 4,3 მლნ ლარის გადაფასების შედეგად. ცვლილების უმეტესი ნაწილი მაღაზიებისა და ოფისების სეგმენტზე მოდის, სადაც ნაშთი 4,2 მლნ-დან 11,9 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეულია სათავო ოფისის ცვლილებით; ტერიტორიები საბაზო სადგურისთვის ნაშთი 19,6 მლნ-დან 20,3 მლნ ლარამდე გაიზარდა.



ფინანსური ლევერიჯი

კომპანიამ კაპიტალის სტრუქტურა 2026 წლის პირველ ნახევარში კვლავ მნიშვნელოვნად გააუმჯობესება. მთლიანი კაპიტალი გაიზარდა 17.9%-ით 126,4 მლნ ლარამდე (2025 წლის ბოლოს: 107,2 მლნ) პერიოდის გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. ამ ყოველივემ გაზარდა კაპიტალის წილი მთლიან აქტივებში 38.0%-დან 42.7%-მდე. მთლიანი საპროცენტო ვალი (საბანკო სესხები + ობლიგაციები + იჯარის ვალდებულებები) 6.0%-ით გაიზარდა და 113,6 მლნ ლარს შეადგენს (2025 წლის ბოლოს: 107,2 მლნ), მათ შორისაა 64,9 მლნ ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაცია, 13,7 მლნ ლარის საბანკო ვალდებულებები და 35,1 მლნ ლარის იჯარის ვალდებულებები. აღსანიშნავია, რომ ვალის ზრდა მთლიანად იჯარის ვალდებულებებზე მოდის (26,9 მლნ-დან 35,1 მლნ ლარამდე, ახალი და გადაფასებული იჯარების 15,1 მლნ ლარის დამატების შედეგად), მაშინ როცა საბანკო ვალი და ობლიგაციები 80,3 მლნ-დან 78,6 მლნ ლარამდე შემცირდა.

ფინანსური ბერკეტის მაჩვენებლები კონსერვატიული რჩება:

წმინდა ვალი გაიზარდა 74,5 მლნ ლარამდე (2025 წლის ბოლოს: 66.1 მლნ); წმინდა ვალი / EBITDA (ბოლო 12 თვე) 0.69x-დან 0.74x-მდე გაიზარდა. ზრდის უმეტესი ნაწილი იჯარის ვალდებულებების ზრდის ეფექტია. აღსანიშნავია რომ მაჩვენებელი კვლავ მნიშვნელოვნად ნაკლებია 1.0x-ზე.

წმინდა ვალი / კაპიტალი შემცირდა 0.59x-მდე (2025 წლის ბოლოს: 0.62x).

საპროცენტო ხარჯის მომსახურების კოეფიციენტი გაიზარდა 7.4x-მდე (2025: 7.0x)

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო ობლიგაციების და საბანკო კრედიტების კოვენანტებთან.

ლიკვიდურობა

2026 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ მთელი საინვესტიციო პროგრამა საკუთარი საოპერაციო ფულადი ნაკადით დააფინანსა. საოპერაციო ფულადი ნაკადი 14.2%-ით გაიზარდა და 46.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც მოხმარდა 39.5 მლნ ლარის კაპიტალურ დატნახარჯებს; დარჩენილმა რესურსმა დაფარა 8.4 მლნ ლარის საფინანსო გადახდები (სესხები 1.8 მლნ, იჯარა 6.6 მლნ). შედეგად, ფულადი ნაშთი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა - 41.1 მლნ ლარიდან 39.1 მლნ ლარამდე შემცირდა.

მიმდინარე ვალდებულებები შემცირდა 134.6 მლნ ლარამდე (2025 წლის ბოლოს: 145.1 მლნ), ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების 51.9 მლნ-დან 41.7 მლნ ლარამდე შემცირების ხარჯზე, რაც კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული მომწოდებლების ნაშთების გადახდას ასახავს. მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთ პოზიციას: 64.9 მლნ ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაცია, რომელიც 2026 წლის 27 დეკემბერს იფარება, კლასიფიცირებულია მოკლევადიან ვალდებულებად და მიმდინარე ვალდებულებების 48%-ს შეადგენს. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ანგარიშგებაში ასახული სახით, 0.40-დან 0.42-მდე გაუმჯობესდა. ობლიგაციის გამოკლებით მაჩვენებელი 0.81-ია (2025 წლის ბოლოს: 0.73). აღსანიშნავია, რომ მობილური კავშირგაბმულობის ბიზნეს-მოდელისთვის 1.0-ზე დაბალი მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი სტრუქტურული ნორმაა და არა სისუსტის ნიშანი, ვინაიდან კომპანიას აქვს ნეგატიური ფულის ბრუნვის ციკლი.

მიმდინარე წლის მთავარი ფინანსური ამოცანაა 64.9 მლნ ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაციის რეფინანსირება, რომელიც 2026 წლის 27 დეკემბერს იფარება. კომპანია ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს და ობლიგაციების ემისია მე-4 კვარტალში იგეგმება.

პოზიტიური მოლოდინი ეყრდნობა კომპანიის ფინანსურ პროფილს: ბოლო 12 თვეში EBITDA 100.4 მლნ ლარი, საოპერაციო ფულადი ნაკადი 93.5 მლნ ლარი, წმინდა ვალი / EBITDA 0.74x, საპროცენტო ხარჯის მომსახურეობის კოეფიციენტი 7.4x. პირველ ნახევარში 39.5 მლნ ლარის კაპიტალური პროგრამა მთლიანად საკუთარი ფულადი ნაკადით დაფინანსდა, ახალი ვალის მოზიდვის გარეშე, ხოლო ნეგატიური ფულის კონვერსიის ციკლის პირობებში საბრუნავი კაპიტალი დაფინანსებას არ საჭიროებს. კომპანია შესაბამისობაშია საკრედიტო ხელშეკრულებების ფინანსურ პირობებთან და აქვს საკმაოდ მაღალი რეიტინგი - Scope Ratings-ის „BB-" სტაბილური პერსპექტივით. 39.1 მლნ ლარის ფულადი ნაშთი და ნახევარწლიურად დაახლოებით 46 მლნ ლარის საოპერაციო ფულადი ნაკადი კომპანიას რეფინანსირების პირობებზე ძლიერ პოზიციას უნარჩუნებს.

კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

2025 წლის დეკემბერში მონიტორინგის ფარგლებში მოხდა კომპანიის რეიტინგის გადახედვა და Scope Ratings GmbH-მ ხელახლა დაადასტურა კომპანიის „BB-" საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით, რომელიც უცვლელი დარჩა 2024 წლიდან. ფინანსური მდგრადობის რეიტინგის კომპონენტი ერთი საფეხურით გაუმჯობესდა.

კომპანიის ობლიგაციონერებს საქართველოს წამყვანი კომერციული ბანკები და საპენსიო სააგენტო წარმოადგენენ.

თავისუფალმა ფულადმა ნაკადმა კაპიტალური დანახარჯების შემდეგ (OCF - Capex) 6,5 მლნ ლარი შეადგინა 2025 წლის პირველი ნახევრის 14,6 მლნ ლარის ნაცვლად. საოპერაციო ფულადი ნაკადი 14.2%-ით გაიზარდა და 46,0 მლნ ლარი შეადგინა, რაც სრულად კაპიტალურ დანახარჯებს მოხმარდა. კომპანიის მოლოდინია, რომ ინტენსიური კაპიტალური დანახარჯების ტემპი მომდევნო წლებში შემცირდება და შესაბამისად, მატერიალურად გაიზრდება თავისუფალი ფულადი ნაკადები.



სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

კომპანიის ძირითადი რისკები



კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სელფი მობაილისთვის დამახასიათებელია შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფულადი ზარალის მიღების რისკს დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ძირითადად აბონენტებისაგან, ურთიერთჩართვის და როუმინგის ოპერტორებისაგან და სხვა საბითუმო მომსახურების მომხმარებლებისაგან, ასევე ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტების ჯგუფის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების მართვას, კომპანიის დებიტორული დავალიანებების თავიდან აცილების მიზნით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო განავეთის რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი მიღებულ ნასესხებ სახსრებზე (ბანკის სესხები და ობლიგაციები).

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების აქტიური მართვა შესაძლებლობას ქმნის კომპანიის ფინანსური მდგომრეობა იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილების დროს და გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილებების ეფექტს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მერყეობით სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად. კომპანიას, ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ მიმართულებებზე გააჩნია სავალუტო რისკი და მის სამართავად ხელმძღვანელობა ბიუჯეტირების პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სასესხო ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

სელფი
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

მობილური ქსელი და ტექნოლოგიები



სელფი მობაილის მეშვეობით პირველი მობილური ზარი 2007 წლის 15 მარტს განხორციელდა. მას შემდეგ კომპანია დინამიურად ვითარდება და 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომხმარებელს უზრუნველყოფს 3G, 4G და 5G უსადენო მომსახურებით 700, 800, 900, 1800, 2100, 2600 და 3500 მეგა ჰერცის სიხშირეების გამოყენებით. 2024 წლიდან დღემდე კომპანია აქტიურად მუშაობს მე-4 და მე-5 თაობის ქსელის გაფართოვებაზე, მათ მოდერნიზაციაზე და ოპტიმიზაციაზე.

4G ინფრასტრუქტურის განუწყვეტელი გაძლიერება და 5G ქსელის თანმიმდევრული განვითარება ჩვენი კომპანიისთვის არა მხოლოდ ტექნოლოგიური აუცილებლობაა, არამედ სტრატეგიული ინვესტიცია მომავალში - ის საფუძველს უყრის სწრაფ, საიმედო და მასშტაბირებად კავშირს, რომელზეც დამოკიდებულია როგორც ჩვენი მომხმარებლების ყოველდღიური გამოცდილება, ისე ქვეყნის ციფრული ეკონომიკის განვითარება. კომპანიის კაპიტალური დანახარჯები სტაბილურად იზრდება წლიდან წლამდე, რაც ასახავს ქსელისა და ინფრასტრუქტურის აქტიურ განვითარებას. 2025 წლის ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების ერთჯერად შესყიდვას მიემართება.

სელფი მობაილის სიხშირული რესურსის განვითარება (Uplink, Downlink)



2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სელფი მობაილმა 4G და 5G ქსელების გამტარუნარიანობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესაბამისად 15%-ითა და 11%-ით გაზარდა. შედეგი ეფუძნება 2025 წლის ბოლოს შეძენილ სიხშირულ რესურსსა და საბაზო სადგურების ქსელის განვითარებას; პროცესი მიმდინარე ეტაპზეც აქტიურად გრძელდება.

კაპიტალური დანახარჯები და მათი შეფარდება კომპანიის შემოსავალთან



კომპანია აგრძელებს ქსელის ყველა კომპონენტის სისტემურ გაუმჯობესებას: მიმდინარეობს საბაზო სადგურების მოდერნიზაცია, არსებულ საიტებზე 5G ტექნოლოგიის დამატება და დაუფარავი არეალების ათვისება როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში. პარალელურად გაიზარდა სიხშირული სპექტრის გამოყენების ეფექტიანობა, რამაც არსებული საბაზო სადგურების გამტარუნარიანობის ზრდა უზრუნველყო.

2026 წლის პირველ ნახევარში, 2025 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მართვაში არსებული ქსელის 17%-ით გაფართოების პირობებში ქსელის სტაბილურობის ყველა ძირითადი მაჩვენებელი გაუმჯობესდა: საიტის გათიშვის საშუალო ხანგრძლივობა 33%-ით, ხოლო გათიშვების ჯამური ხანგრძლივობა 22%-ით შემცირდა. აღნიშნული მიუთითებს ოპერაციული პროცესებისა და ტექნიკური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ქსელის განვითარება კომპანიის პრიორიტეტული მიმართულებაა და მიზნად ისახავს მომხმარებლისთვის თანაბრად მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფას მთელ საქართველოში.

სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია



სელფი მობაილ განაგრძობს ინოვაციების და ახალი გამოცდილებების შექმნას კავშირგაბმულობის ბაზარზე. მისი განვითარებული ციფრული ეკოსისტემის დამსახურებით კომპანია დგას ციფრული ტრანსფორმაციის სათავეში, რომლის არსიც სიახლეებისთვის, მათ შორის, ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის მზადყოფნაა.

სელფი ყოველთვის გამოირჩეოდა ინოვაციური მიდგომებით, შესაბამისად მომხმარებლებისთვის დამატებითი ღირებულების შექმნა (გარდა ტრადიციული მობილური პროდუქტებისა) გახდა ლოიალობის პლატფორმის დანერგვის მთავარი საფუძველი. კომპანიის სტრატეგიაა გამოიყენოს ეს კონკურენტული უპირატესობა და მომხმარებელს, ლოილობის პლატფორმის გამოყენებით, შესთავაზოს განსხვავებული და აბონენტის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტები. ეს არის ყველაზე მასშტაბური პარტნიორული ეკოსისტემა საქართველოს ტელეკომუნიკაციების სფეროში, სადაც ერთიანდება როგორც გლობალური, ისე ლოკალური ბრენდები. პარტნიორობები მოიცავს თითქმის ყველა იმ პროდუქტს/მომსახურებას, რასაც ყოველდღიურად თითოეული აბონენტი მოიხმარს.

ციფრული პროდუქტები



MyCellfie აპლიკაცია რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა, მომსახურებების ჩართვა, ტარიფების/ბალანსის შემოწმება და განსაკუთრებული შეთავაზებების მიღება კვლავ რჩება, ყველაზე პოპულარულ აპლიკაციად, ქართულ სატელეკომუნიკაციო სივრცეში. 2025 წლიდან აპლიკაციაში უკვე გახდა შესაძლებელი ახალი ნომრის აღება, სიმის ტიპის ცვლილება და პორტაცია.

2026 წლის პირველ ნახევარში MyCellfie საუკეთესო მობილურ აპლიკაციად დასახელდა და Best Mobile App Awards-ის გამარჯვებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მარტივი, ინოვაციური და მომხმარებელზე მორგებული მობილური პლატფორმა.

- სელფის ვებ გვერდი www.cellfie.ge რომლითაც 24/7-ზე დისტანციურად შესაძლებელია E-sim ის რამდენიმე კლიკით შეძენა.
- Digital Touch Screen რომლითაც კომპანიის მაღაზიებში შესაძლებელია თვითმომსახურება, ოპერატორის ჩართულობის გარეშე.
- ლოიალობის პლატფორმა 2025 წელს, Vodafone-თან პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს ბაზარზეც დაინერგა ლოიალობის პლატფორმა. ეს არის უპრეცედენტო ხელშეკრულება, რომელიც მომხმარებელს მისცემს საშუალებას, გამოცდილი და სანდო პლატფორმის გამოყენებით, მიიღოს მასზე მორგებული შეთავაზებები და ფასდაკლებები.
- Travel eSIM რომელიც მოგზაურებს საზღვარგარეთ მარტივ, ხელმისაწვდომ და სრულად ციფრულ კავშირს სთავაზობს მხოლოდ ოთხი დაწკაპუნებით. კონკურენტუნარიანი ფასები და შეუზღუდავი წვდომა Google Maps, WhatsApp და Messenger-ის ტექსტურ შეტყობინებებზე, მაშინაც კი, როცა ინტერნეტპაკეტი იწურება - ეს ყველაფერი სელფის Travel eSIM-ს აყენებს საერთაშორისო მოგზაურობის თანამედროვე სტანდარტების მოწინავე ხაზზე.

სელფი მობაილის დამოკიდებულება კლიენტზე ზრუნვის მიმართ მკაფიო და მომთხოვნია. ბრენდისთვის უმნიშვნელოვანესია მომხმარებელს შეუქმნას არა მხოლოდ კარგი, არამედ შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი გამოცდილება. საკუთარი მოქმედებით მუდმივად ეხმიანება მის ერთ-ერთ ღირებულებას, რომელსაც კლიენტით მონუსხულობა ჰქვია. სწორედ ამიტომ, კომპანიაში არსებობს კლიენტის გამოცდილებაზე მიძღვნილი დეპარტამენტი, რომლის მიზანია მომხმარებლის მოთხოვნის, მისი ქცევისა და ჩვევების შესწავლა, შესაბამისი კვლევების ჩატარება და ანალიზი, სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით. ასევე, მომხმარებლის მოგზაურობის რუკების შედგენა, რაც ერთობლიობაში საშუალებას აძლევს გამოავლინოს როგორც კმაყოფილების განმაპირობებელი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები. აღნიშნული სამსახური ასევე უწევს მონიტორინგს სატელეფონო ცენტრში, ონლაინ ჩეთში, საცალო გაყიდვებსა და სოციალურ მედიაში გაწეულ მომსახურებას, რათა უზრუნველყოს სერვისის ხარისხის სტანდარტებთან თანხვედრა.

სელფი მობაილის მიზანია კომპანიის მასშტაბით განავითაროს ციფრული ეკოსისტემა. სელფი მობაილში დანერგილი ღია კოდის მქონე, მონაცემების მართვის სისტემები (Hadoop, Hive, Apache Spark, Kafka, etc..) საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს მონაცემების მართვა და რთული ანალიტიკური პროცესების წარმოება. ხელმისაწვდომია მანქანური დასწავლისა და ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა ინსტრუმენტები. აღნიშნული ინსტრუმენტები ამჟამად უკვე გამოიყენება მომხმარებელთა სეგმენტაციის, ქცევის ანალიზის და შესაბამისი შეთავაზებების/პროდუქტების მართვაში. დამატებით, ბიზნეს პროცესების ეფექტურად სამართავად დანერგილია ორგანიზაციის რესურსების მართვის სისტემა SAP.

საგანმანათლებლო და კულტურული ინიციატივები

2026 წლის პირველ ნახევარში, სელფი მობაილის სოციალური პასუხისმგებლობისა და სასპონსორო ინიციატივებმა მოიცვეს: ტექნოლოგიების, განათლების, ინოვაციების, პასუხისმგებლიანი ბიზნესის, კულტურისა და სპორტის სფეროები. სელფის მიერ განხორციელებული პროექტები ემსახურებოდა ცოდნის გაზიარებას, პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას, ინკლუზიური და ღირსეული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას, ასევე ადამიანების გაერთიანებას საერთო ინტერესებისა და გამოცდილების გარშემო.

ტექნოლოგიები, განათლება და ბიზნესის განვითარება

ტექნოლოგიის სფეროში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მიზნით, სელფი მობაილი გახდა „STEAM-ის დღე 2026“-ის პარტნიორი. ღონისძიება 11 თებერვალს, მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღეს, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში გაიმართა და მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, ხელოვნებისა და მათემატიკის სფეროებში ქალებისა და გოგოების ჩართულობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას მიეძღვნა. პროგრამა აერთიანებდა ტექნოლოგიების სფეროში წარმატებული ქალების გამოსვლებს, ვორქშოპებს, მასტერკლასებსა და ნეთვორქინგის შესაძლებლობებს.



სელფი მობაილმა ასევე მხარი დაუჭირა კონფერენციას „ბიზნეს ტრანსფორმაცია 2.0“, რომელიც 19 თებერვალს გაიმართა. კონფერენცია თანამედროვე ბიზნესგარემოში ორგანიზაციების განვითარებისთვის აუცილებელ ტრანსფორმაციულ მიდგომებს, პრაქტიკასა და ინოვაციურ გადაწყვეტილებებს დაეთმო და მოიცავდა ბიზნესპროცესების, ციფრული, ხელოვნური ინტელექტის, Agile და ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის მიმართულებებს.

19-21 ივნისს სელფი მობაილი რეგიონში ყველაზე მასშტაბური ტექნოლოგიური ღონისძიების, Global Tech Weekend Tbilisi 2026-ის პარტნიორი იყო. ღონისძიებამ ინოვაციების, მეწარმეობისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გარშემო გააერთიანა სფეროს პროფესიონალები და ახალი იდეების ავტორები. სელფის წარმომადგენელი მონაწილეობდა სესიაში „Transforming Enterprises for the Digital Era“ და აუდიტორიას გაუზიარა კომპანიის ხედვა თანამედროვე ბიზნესის განვითარებაში ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელობის შესახებ.

პასუხისმგებლიანი ბიზნესი და ღირსეული სამუშაო

2026 წელს სელფი მობაილი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის შრომისა და ღირსეული სამუშაოს სამოქმედო პლატფორმის თანათავმჯდომარე გახდა. პლატფორმა მიზნად ისახავს ბიზნესსექტორში ღირსეული შრომის სტანდარტების გაძლიერებას და სამუშაო ადგილზე ღირსების დაცვის, დისკრიმინაციის პრევენციის, სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის პრაქტიკის განვითარებას.

პლატფორმის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრები და აქტივობები წევრ კომპანიებს დაეხმარება ცოდნის გაღრმავებასა და საქმიანობის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში. სელფი მობაილი მონაწილეებს გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას სამუშაო ადგილზე ღირსების დაცვისა და ინკლუზიური გარემოს განვითარების მიმართულებით. კომპანია გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წევრია 2023 წლიდან.

კულტურისა და მუსიკალური პლატფორმების მხარდაჭერა

2026 წლის პირველ ნახევარში, სელფი მობაილმა გააგრძელა Tbilisi Open Air-თან თანამშრომლობა. 28 თებერვალსა და 1 მარტს კომპანია Tbilisi Open Air 2026: Winter Edition-ის ტელეკომ პარტნიორი იყო. გუდაურში გამართულმა ღონისძიებამ მუსიკა, თავისუფალი გარემო და აქტიური დასვენება გააერთიანა, ხოლო ფესტივალის სტუმრებისთვის სელფის სპეციალური სივრცე მოეწყო.

ივნისში სელფი მობაილი უკვე მეორედ გახდა Tbilisi Open Air-ის ტელეკომ პარტნიორი. კომპანია ფესტივალზე საკუთარი სივრცით იყო წარმოდგენილი და, ამავე დროს, ღონისძიების ფუნქციონირებისთვის საჭირო სატელეკომუნიკაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. პარტნიორობა ასახავს "სელფის" მისწრაფებას, ხელი შეუწყოს პლატფორმებს, რომლებიც ადამიანებს საერთო ემოციებისა და გამოცდილების გარშემო აერთიანებს.

სპორტის მხარდაჭერა

2026 წლის პირველ ნახევარში "სელფი მობაილი" ქართული შერეული საბრძოლო ხელოვნების ორგანიზაცია „რკენას" გენერალური სპონსორი გახდა. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ქართული MMA-ის განვითარებისა და სპორტსმენებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნის მხარდაჭერას.

კომპანიის გაყიდვების ოფისები

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას საქართველოს მასშტაბით აქვს 35 საკუთარი მაღაზია, აქედან 14 თბილისში, ხოლო 21 სხვადასხვა რეგიონებში.

საკუთარ მაღაზიებში აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია/დახმარება ნებისმიერ საკითხზე, შეიძინონ სიმ ბარათი (USIM და ESIM), გაიაქტიურონ სასურველი პაკეტები, შეავსონ ბალანსი და დაპორტირდნენ. ამ ყველაფრის განხორციელება მომხმარებელს შეუძლია როგორც გაყიდვების კონსულტანტის დახმარებით, ისე Self-Service ტერმინალის გამოყენებით.

გარდა საკუთარი მაღაზიებისა, საანგარიშო პერიოდისთვის სელფი მობაილის SIM ბარათების (USIM მხოლოდ) შეძენა შესაძლებელი იყო 10 ფრანჩაიზში და 500-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში ქვეყნის მაშტაბით. რაც შეეხება მომსახურების ნაწილს, ფრანჩაიზებში სიმის შეძენის გარდა, აბონენტს შეუძლია მიიღოს საკუთარი მაღაზიების მსგავსი სერვისი (ნომრის აღდგენა, პორტირება, მომსახურების ჩართვა, ბალანსის შევსება), ხოლო სავაჭრო ქსელში მხოლოდ ნომრის ყიდვა არის ხელმისაწვდომი, თუმცა არსებობს 30-მდე მსხვილი ობიექტი, რომლებიც ასევე სთავაზობენ აბონენტებს ნომრის აღდგენასა და პორტირებას.



სელფი®
მობაილ

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

აღამიანური კაპიტალი

2026 წლის პირველ ნახევარში სელფი მობაილში სტრუქტურული ცვლილებების შედეგად **უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი შემდეგნაირად განისაზღვრა**

გენადი როსტომაული
ტექნიკური დირექტორი

გიორგი ნინიაშვილი
ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი

ია მამეიშვილი
რისკების და შესაბამისობის დირექტორი

თამარ ჯიქია
პროექტების მართვის დირექტორი

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

ლელა სალაყაია
ჰერსონალთან ურთიერთობისა და კორპორაციული კულტურის დირექტორი

მარიამ კოპაძე
კომერციული დირექტორი

ირაკლი ესართია
იურიდიული დირექტორი

კომპანია აგრძელებს ადამიანური კაპიტალის სტრატეგიულ გაძლიერებას, ინარჩუნებს სამუშაო ძალის სტაბილურობასა და ბალანსს, ამავდროულად ინვესტიციას აკეთებს ტალანტების მოზიდვაში, განვითარებასა და სამართლიან, ბაზარზე ორიენტირებულ ანაზღაურებაში. 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა 2025 წლის ბოლოსთან შედარებით 6.6%-ით გაიზარდა და 454 შეადგინა.

მაჩვენებელი	2026HY	2025YE	ცვლილება	%
თანამშრომელთა რაოდენობა	454	426	28	6.6%
გენდერული ბალანსი (ქალი/კაცი)	63% / 37%	61% / 39%	2% / -1%	3,3% / -5,1%
საშუალო ასაკი	37.1	38.8	-1.7	-4.4%

კომპანიის გენდერული ბალანსი 2026 წლის 30 ივნისისთვის - 63% ქალი / 37% კაცი. უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის დონეზე, დირექტორთა გუნდის 9 წევრიდან 4 ქალია, რაც ეფექტიანი დივერსიფიკაციის პოლიტიკის შედეგია.



2026 წლის პირველ ნახევარში ძირითადი დაქირავება ახალგაზრდა ტალანტებზე მოდის (Gen Z თაობა), შედეგად მათი კონცენტრაცია კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობაში მკვეთრად გაიზარდა და 24% შეადგინა (6.4 პპ ზრდა წინა წლის ბოლოსთან შედარებით) და კომპანიაში დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო ასაკი 37.1 წლამდე შემცირდა (1.7 პპ შემცირება).

სელფი მობაილი, როგორც დამსაქმებელი, სრულად უჭერს მხარს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. კომპანიის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება ინკლუზიის, პატივისცემისა და თანასწორობის პრინციპებს, რაც ქმნის გარემოს, სადაც ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი.

კომპანია მიიჩნევს, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა მნიშვნელოვან სარგებელს იძლევა - განსხვავებული პერსპექტივებისა და გამოცდილების მქონე ადამიანების გაერთიანება აძლიერებს ინოვაციას, ხელს უწყობს კრეატიულობას და აუმჯობესებს პრობლემის გადაჭრის უნარს.





მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

24 აგვისტო 2026



სელფი

მმართველობითი ანგარიშგება

30 ივნისი
2026

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

24 აგვისტო 2026

24 აგვისტო 2026

პასუხისმგებელი პირების განცხადება

2026 წლის ნახევარ-წლიური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

• ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, ზუსტად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.

• მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ბიზნესისა და კომპანიის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

• მმართველობითი ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები და უზრუნველყოფს აქციონერებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ბიზნესსტრატეგიის შესაფასებლად.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია კომპანის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორტა საბჭოს მიერ.

როსტომ ტალახაძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჭედია
ფინანსური დირექტორი

გიორგი ვერძაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

შპს სელფი მობაილ/ LLC Cellfie mobile
საფოსტო მისამართი: მექანიზაციის ქ. 1, სადარბაზო 1, 12ბ, თბილისი 0192, საქართველო / Postal address: 1, Mechanization str, block 1 12ბ., 0192 Tbilisi, Georgia
იურიდიული მისამართი: ბამბის რიგი 8, თბილისი 0105, საქართველო / 8, Bambis Rigi, 0105 Tbilisi, Georgia
www.cellfie.ge